# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 ივლისი 2000 №134 (1156) | ფასი 50 თეთრი




- გნებავთ, ევროპის ჩემპიონის პლაკატი?
- გნებავთ, ევრო 2000-ის ფოტოგამოხმაურების ხილვა?
- ინგლისელი ფანების ამბავი არ გაინტერესებთ?
- და რით? ამობრძანდით „მარაკანას" ტრიბუნაზე ელგუჯა ბერიშვილთან ერთად
- მარი პირსი ფრანგი კია, მაგრამ აბა, ფრანგი საიდან არის...

ერთი სიტყვით
ორშაბათიდან
ჯიხურებში ჟურნალი
სარბიელი
გელით
ფასი ძველებურად
2 ლარი

## გოგი ქათამაძე: ფედერაციის და ბასკოს ალიანსზე საუბარი ცილისწამებაა



- თორმეტგუნდა ჩემპიონატი სასიკეთოს არაფერს მოუტანს ქართულ კალათბურთს
- დანიაში ჩვენივე მოთამაშეების დაბალმა კლასმა და სათამაშო დისციპლინის უქონლობამ დაგვალალატა
- გამოდის, ფედერაციამ პიჟამოების გულისთვის გაწირა „აზოტი"?
- კალათბურთელებმა ლამისაა მაყურებლებს აგინონ. მათ შინაგანი კულტურა აკლიათ.
- როგორ ვირწმუნო, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე მურმან ქურიძემ ქრთამი აიღო და „ბასკოს" მოაგებინა?
- რა დონის კალათბურთიც გვაქვს, მსაჯობაც ისეთივეა

ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან
იხილეთ მეათე გვერდზე



სატრანსფერო ვნებათა კვირის ბოლო გმირი: დევიდ ბექემი 64 მილიონად დაფასდა

# ევროპა გაგიჟდა!

## მილიონების თამაში მილიონერთა თამაშად იქცა: სილვიო ბერლუსკონი დევიდ ბექემში 64 000 000 დოლარს იძლევა

„თუ დევიდ ბექემი „მილანში" გადმოვა, „მანჩესტერ იუნაიტედს" 64 მილიონ დოლარს გადავუხდი, ხოლო ფეხბურთელის ხელფასი კვირაში 180 ათასი დოლარი იქნება" — თქვა „მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ და ევროპული ტრანსფერებისთვის აქამდე გაუგონარ კვირას ერთგვარი გვირგვინი დაადგა.

გვირგვინი იმიტომ, რომ 64 მილიონად ფეხბურელი ჯერ არ გაყიდულა. არც ისეთი მოთამაშე გამოჩენილა, წელიწადში 9 მილიონ 400 ათასი დოლარი ჰქონოდეს ხელფასი. არითმეტიკული შეცდომა გამორიცხულია: თუკი ბერლუსკონის მიერ შეთავაზებულ თანხას წელიწადში კვირათა რაოდენობაზე გავამრავლებთ, ვნახავთ, რომ ბექემს საარაკო და სარეკორდო ხელფასის მქონე ფეხბურთელობის პერსპექტივა ექმნება.

ბერლუსკონიმ ბექემს სხვა მხრიდანაც მოუარა. „მილანის" პრეზიდენტი ფეხბურთელის ცოლთან, პოპ-ვარსკვლავ ვიქტორია ადამსთან აპირებს მოლაპარაკებას, რათა ამ უკანასკნელმა ქმარი „მილანში" გადასვლაზე დაითანხმოს. ტელემაგნატი ბერლუსკონი უყურადღებოდ არც ვიქტორიას დატოვებას აპირებს: სარფიან ტელეკონტრაქტს სთავაზობს.

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარემ მარტინ ედუარდსმა ჯერჯერობით ყველაფერი შორს დაიჭირა: „მილანიდან" არავინ შეგვხმიანებია. მე კარგად ვიცნობ ამ კლუბის ხელმძღვანელობას. იგი „მანჩესტერის" რომელიმე მოთამაშით რომ დაინტერესდეს, მოსალაპარაკებლად პირდაპირ ჩვენ მოგვმართავს."

ესეც ასე. მართალია, საქმე ჯერ აზრთა გაცვლა-გამოცვლის იქით არ წასულა, მაგრამ ფაქტია: ჰაერში მეტად მსუყე ტრანსფერის სუნი დატრიალდა.

იხილეთ მეოთხე გვერდი

# ბრაზილია ამოუჭირავდა

გუშინ ბრისბენში წლევანდელი დევისის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი დაიწყო: ავსტრალია ბრაზილიას მასპინძლობს. ორი შეხვედრის შემდეგ სტუმრების საქმე შავადაა: პატრიკ რაფტერმა და ლეიტონ ჰიუიტმა გუსტავო კუერტენი და ფერნანდო მელიგენი პირწმინდად დაჩაგრეს. ამ უკანასკნელმა, აქაოდა, მსაჯობა მიკერძოებულიაო, პროტესტი ორიგინალურად გამოხატა: კარგა ხანს მოედანზე თავით იდგა. თუმცა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ჯამბაზობაზე მეტად საჩოგბურთო ოსტატობა ფასობს, ამიტომ წყვილების მატჩის წინ ანგარიში ლოგიკურია — 2:0 ავსტრალიის სასარგებლოდ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS ბრისბენიდან

ფერნანდო მელიგენი

# დროა, ფეხბურთი ფეხბურთს დაემსგავსოს

ცოტაც და კარს XII ეროვნული ჩემპიონატი მოგვადგება. გაცხოველებული სამზადისიაო, ვერ ვიტყვით, თითო-ორიოდ გუნდმა თუ მიაშურა უცხოეთს მოსამზადებლად, დანარჩენებმა კი შინაურ პირობებში არჩიეს მომზადება (ნათქვამია, საბანი სადამდეც გაგწვდებაო...). ერთიც აღსანიშნავია, შარშან ამ დროისთვის ჩემპიონატისთვის სამზადისში გართულ გუნდებს ბევრი საკონტროლო მატჩი ჰქონდათ ჩატარებული, წლეულს კი კანტიკუნტად თუ თამაშობენ ერთმანეთში (თუნდაც უცხოსთან) ქართული გუნდები (სურათის სიცხადისთვის საზაფხულო მიდი-მოდი იხილეთ). ახალი ფორმატით გასამართ ჩემპიონატისთვის დიდი სამზადისი ფედერაციასაც არ ეტყობა. ქართული ფეხბურთის მამები ძირითადად უცხოეთში საქმიან თუ სასწავლო ვიზიტებით არიან დაკავებულნი. დღეისთვის ხეირიანად ჩემპიონატის. კალენდარიც არ არის შედგენილი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდმა 22 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს (გაურკვეველია, რა ვადაში) და კიდევ ის რომ ახალ ეროვნულ პირველობაზე ქართული საფეხბურთო მარში დაგუგუნდება. მოკლედ ასეა, სამზადისზე უფრო მოლოდინი იგრძნობა, როგორი იქნება ახალი სეზონი, ამას მომავალი გვაჩვენებს, დღეს კი ურიგო არ იქნება, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ გასულ, XI ეროვნულ ჩემპიონატს.

რითი იყო გამორჩეული ეს პირველობა? სიურპრიზით? კი, ბატონო, ჩემპიონი შეიცვალა. დაძაბულობით? არც უმაგისობაა, ბოლო ტურების წინ რამდენიმე გუნდი ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს, „ბ“ ზონაში კი ქვედა ლიგაში ჩანაცვლების კანდიდატებმა ბოლომდე შეუნარჩუნეს ინტრიგა ჩემპიონატს. მოულოდნელობით? ეგეც იყო, აბა, „დინამოს“ ინტერტოტოს თასზე ვინ წარმოიდგენდა. რა გამოდის? აშენებულხართ, ეს რა მაგარი ჩემპიონატი გქონიათ ქართველებსო, იტყვის მავანი, მაგრამ... ქომაგმა მშვენივრად იცის, რაც ჭირს ქართულ ფეხბურთს. მშიერი კლუბები (ერთი-ორის გამოკლებით), უსახური ფეხბურთი, უდისციპლინობა, საეჭვო გარიგებები და ამას მოყოლილი სკანდალები. სამწუხაროდ, ასეთიც იყო გასული ჩემპიონატი.



სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა სექტემბერში ჩატარდება

როგორლაც გამოვნახე დრო და „სარბიელის“ ძველ ნომრებში გასული სეზონის სადისციპლინო ტექნიკური სხდომების რეპორტაჟებს გადავავლე თვალი. შედეგად დღევანდელ ნომერში ეს წერილი და ქვევით მოყვანილი ცხრილი გაჩნდა. სამწუხაროდ, მან გასული ჩემპიონატის მანკიერებები სრულად ვერ დაიტია, მაგრამ გარკვეული შთაბეჭდილების შესაქმნელად მაინც გამოდგება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილს მხოლოდ ამას დავამატებთ — პირველი ჯგუფის (ამიერიდან უმაღლესი ლიგა რომ ჰქვია) გუნდების საერთო საჯარიმო თანხამ 12250 ლარი შეადგინა. სტკ-მ სულ 55 ფეხბურთელი დასაჯა (საჯარიმო თანხა 8600 ლარი), ოთხ სტადიონს (3150 ლარი) და ერთ კლუბს (250 ლარი) მისცა დისკვალიფიკაცია. თითოჯერ კი სხვადასხვა დარღვევისთვის გუნდის პრეზიდენტს და მთავარ მწვრთნელს შეუთხელა ჯიბე. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ჯგუფის მონაცემებია..

მგონი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ხდებოდა რეგიონალურ ლიგაში, ჭაბუკთა პირველობებზე. ტური ისე არ ჩაივლიდა, რაიმე დარღვევა არ მომხდარიყო, ზოგჯერ ისეთი, კრიმინალის ელფერიც რომ დაჰკრავდა. რა რჩებოდა შედეგად? გალახული (ერთი ორჯერ სიკვდილს გადარჩენილი) მსაჯები, დასჯილი ფეხბურთელები და დისკვალიფიცირებული სტადიონები. დღეს კი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ სამარცხვინო ფაქტებს, რაც გასულ სეზონში მოხდა ქართულ ფეხბურთში.

მაშ ასე, ხუთი ეპიზოდი ქართული ფეხბურთიდან:

ფიზკულტურის აკადემიის საფეხბურთო მოედანზე მომხდარს, მგონი, ანალოგი არ მოეპოვება ფეხბურთის ისტორიაში. ჭაბუკთა პირველობის მორიგ კალენდარულ მატჩში ორი თბილისური გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს. თანაბარი მატჩის, მეორე ნახევრის ბოლოს მოვლენები სწრაფად განვითარდა. სათამაშო ეპიზოდში ორი ფეხბურთელი წაკინკლავდა. პრობლემის მოგვარება ერთ-ერთის ძმამ — სტადიონზე საქომაგოდ მისულმა პიროვნებამ ითავა. იგი სახრახნისით შეიარაღებული შეიჭრა მოედანზე, რამაც მასობრივი ჩხუბი გამოიწვია. სახრახნისით რომ ვერაფერს გახდა, ვაი-გულშემატკივარი მოედნის სიახლოვეს დაყენებულ საკუთარ ავტომანქანაში ჩაჯდა და ფეხბურთელებს მოედანზე გაედევნა. მატჩის მონაწილენი სწრაფმა ფეხებმა გადაარჩინეს, თორემ მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა.

გავიხსენოთ დარჩელში, რეგიონალური ლიგის კალენდარული მატჩის დროს მომხდარი ფაქტი. დარჩელელებმა ჯოჯოხეთი მოუწყვეს მატჩის არბიტრს, ზუგდიდელ კახა მესხს. მესხის საცემლად ორასკაციანმა ჯგუფმა გაიწია, ვაი-გულშემატკივრები ჯერ მატჩის უსაფრთხოდ ჩატარებისთვის მზრუნავ სამ პოლიციელს გაუსწორდნენ, შემდეგ კი საშინლად გვემეს საწყალი შავოსანი. მისთვის ავბედითი მატჩის შემდეგ სასწაულებრივ გადარჩენილი მესხი იხსენებდა: „მირტყავდნენ ფეხით, ხელით, თავით. რამდენჯერმე გონება დავკარგე, ასეთ დროს წყალს მასხავდნენ და გონსმოსულს ისევ მცემდნენ“.

არანაკლები დღე დაადგა კიდევ ერთ მსაჯს — ალექსანდრე მეშკოვს. იგი XI ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩს სჯიდა ხობში. „ხობი“ — „იბერიას“ ხვდებოდა. ნამატჩევს შედეგით აღშფოთებულმა („იბერიამ“ 2:1 გაიმარჯვა) მასპინძელთა გულშემატკივრებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს მეშკოვი. საბედნიეროდ, შავოსანი გადარჩა, მხოლოდ ტვინის მძიმე შერყევა მიიღო.

არა მგონია, იმასაც მოეპოვებოდეს ანალოგი რაც ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის საფეხბურთო სკოლის და ონის სპორტსკოლის გუნდების მწვრთნელებმა მოიმოქმედეს. ქუთაისელი მწვრთნელები ჭაბუკთა ტურნირის კალენდარული მატჩისას გუნდის გარეშე ჩავიდნენ ონში. იქაურმა კოლეგებმა სტუმრებს ჯეროვანი პატივი სცეს და მატჩის ბედიც სუფრაზე გადაწყდა. საგანგებოდ წამოღებულ ოქმში სტუმარ-მასპინძელმა შეხვედრის საბოლოო შედეგი გააფორმა. ეს შემთხვევა სფფ-ს ასოციაციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თანამშრომელმა ჯუმბერ თანანაშვილმა ექვსი თვის შემდეგ შემთხვევით გამოააშკარავა. მახსოვს, სტკ-ზე ამ საქმის გარჩევისას ისიც ითქვა, რომ მსგავსი ფაქტები ადრეც ბევრჯერ მომხდარა და ხახვით შერჩენიათ ყალბისმქმნელებს.

დაბოლოს, გასული სეზონის №1 სკანდალი. „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩი, შეხვედრის მიწურულს გათამაშებული სპექტაკლი. ნაცემი მსაჯი, საყოველთაო აყალმაყალი დასჯილი ფეხბურთელებმა და მოგვიანებით ქარელელი ასკაროლლის მიერ სტკ-ს სხდომაზე ამოღებული ფურცლის ნაგლეჯი. თამაში ჩაწყობილი იყო. „ლოკომოტივმა“ მატჩის წინ თავისი პირობები წამომიყენაო — ბევრი კი იყვირა ქარელელმა მსაჯმა, მაგრამ ყურიც არავინ უგდო. იმავე დღეებში კი მრავალმა საინფორმაციო სააგენტომ თავშესაქცევი ინფორმაცია გაავრცელა მთელს მსოფლიოში — საქართველოში უჩვეულო რამ მოხდა, ფეხბურთელმა თერთმეტმეტრიანით ანგარიში გაუთანაბრა მეტოქეს და თავში ხელი შემოირტყაო...

აი, ასეთი გამოცდილებით ხვდება ქართული ფეხბურთი XII ეროვნულ ჩემპიონატს. რა იქნება შემდეგ...

დაფიქრება მართებთ ფედერაციის ხელმძღვანელებს, მსაჯებს, გუნდების მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, რაღა თქმა უნდა, გულშემატკივრებსაც.

დროა, ფეხბურთი ფეხბურთს დაემსგავსოს.

**პაატა ძვანტალიანი**

| გუნდი | საჯარიმო თანხა | მოთამაშე, ჯარიმა | ს. | კ. | მ. | პ. | გ.დ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 50 | ჭანტურია (50) | | | | | |
| სამგურალი | 150 | ხაჭაპურიძე (100), ვადაჭკორია (50) | | | | | |
| სიონი | 200 | | 200 | | | | 200 |
| ბორდა | 250 | ბურნაძე (200), ბექაური (50) | | | | | 200 |
| მერანი | 300 | კარიაული (100), ილურიძე (100), ე. ალადაშვილი (50) | | | გაბელაია (50) | | 100 |
| ვიტ ჯორჯია | 400 | კოტორაშვილი (100), ბარქაია (50), დოლიძე (50) | | | | რუხაძე (200) | |
| დინამო | 450 | გუჩუა (200), კიკნაძე (100), სახვაძე (100), ანჩაბაძე (50) | | | | | 150 |
| არსენალი | 500 | ხოსროშვილი (150), ტარიელაშვილი (100), ე. ალადაშვილი (100), ირემაშვილი (100), ყოლბაია (50) | | | | | 250 |
| თსუ | 550 | ახალაძე (300), დეკანოსიძე (100), ადამია (100), ერაძე (50) | | | | | |
| იბერია | 550 | ვარდანიძე (200), ბიწაძე (100) | | 250 | | | |
| კოლხეთი | 600 | შალამბერიძე (200), დავითნიძე (100), ტრაპაიძე (100), ე. გვასალია (100), ქუნთელია (50), გოროზია (50) | | | | | |
| თბილისი | 650 | ბურდული (250), ბათიაშვილი (200), გონჩაროვი (150), გ. მიქაძე (50) | | | | | 450 |
| დილა | 700 | ლომიძე (100), შატაკიშვილი (100), აკოფიანი (100), მდივანი (50), საყვარელიძე (50) | 300 | | | | ? |
| ლოკომოტივი | 1750 | ბალაშვილი (1000), ხუროძე (300), ასლანაძე (200), ლ. მიქაძე (200), რუსია (50) | | | | | 300 |
| ბათუმი | 2000 | არჩვაძე (1000), კობიძე (150), მ. მახარაძე (100), პაპიძე (100) | 650 | | | | 1100 |
| ხობი | 3150 | ზურაბ აიანადი (250), ონიანი (200), თორია (100), ჭიჭინაძე (100), თოლორდავა (100), ჯამბურია (50), ალანია (50), ზაზა აიანადი (50) | 2250 | | | | ? |

*შენიშვნა: ცხრილის IV, V, VI, VII, VIII გრაფებში მითითებულია საჯარიმო თანხები: ს — სტადიონისა, კ — კლუბისა, მ — მწვრთნელისა, პ — პრეზიდენტისა და გ.დ. — გუნდის დავალიანება.*

# ჯანაშია გახდა

## ქართველი თავდამსხმელი 86 კილოგრამია

ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია, როგორც ჩანს, ფორმაში შედის. ეს გუშინ რკინიგზელთა საწვრთნელ ბაზაზე გამართულმა ორმხრივმა თამაშმაც დაადასტურა.

კვირას რუსეთის ჩემპიონატში ცენტრალური მატჩია — მეორე ადგილზე მყოფი „ლოკომოტივი" ლიდერ, თანაქალაქელ „სპარტაკს" უნდა დაუპირისპირდეს. რკინიგზელებს თუ ჩემპიონობაზე ოცნება სურთ, ეს მატჩი უნდა მოიგონ. სხვა შემთხვევაში ჩემპიონის ვინაობა ფაქტობრივად გაირკვევა — „სპარტაკს" ვერავინ შეეცილება.

„ლოკომოტივის" თავკაცი იური სიომინი შეგირდებს დიდი სერიოზულობით ამზადებს. მწვრთნელმა პარასკევს მსუბუქი ვარჯიშის შემდეგ გუნდი ორად გაყო და ორმხრივი თამაში გამართა.

ზაზა ჯანაშია უდავოდ გამოირჩეოდა ორივე გუნდში. ასეთი აქტიური ჯანაშია კარგა ხანია, არ გვინახავსო, აღნიშნავენ რუსი ჟურნალისტები. ზაზა ძველებურად სწრაფი და მეტოქის კარზე დაგეშილი ყოფილა. მისი მონდომება და ჟინი ვერც ჩერევჩენკოსთან ძლიერმა შეჯახებამ ჩააცხრო, რომლის შემდეგაც ორივე ფეხბურთელს რამდენიმეწუთიანი წამლობა დასჭირდა. ჩერევჩენკომ თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ჯანაშიამ კი გააგრძელა და...

საბოლოოდ ძირითადმა შემადგენლობამ 4:0 მოიგო. ქართველმა თავდამსხმელმა ორი გოლი თავად შეაგდო, ერთიც სხვას გაატანინა და გასახდელში კმაყოფილი შევიდა. იქიდან კი სულ მალე გახარებული გამოვარდა.

„86 კილო ვარ" — შეჰყვირა სასწორზე შემდგარმა ჯანაშიამ, თან დაამატა, ცოტა ხნის წინ სამი კილოგრამით მეტს ვიწონიდიო. აღსანიშნავია, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ჩვენებურის მთავარი პრობლემა სწორედ ზედმეტი წონა იყო.

რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „კრილია სოვეტოვთან" სტუმრად 2:0 მოგებულ მატჩში, ჯანაშიამ საკმაოდ აქტიურად ითამაშა, მაგრამ სიომინმა მაინც შეცვალა. მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილება ამგვარად ახსნა: „ჯანაშია ახლა თავისი შესაძლებლობის 70 პროცენტს ავლენს. წონაც ახლახან დაიკლო, თანაც ბულიკინი არაფრით ჩამოუვარდება და ამიტომაც შევცვალე."



ზაზა ჯანაშია (მარცხნივ) რუსეთის ნაკრებთან მატჩის დროს

ასე რომ, ქართველი ფორვარდი „სპარტაკთან" სახვალიო მატჩისთვის სრულ მზადყოფნაშია და ალბათ შურისძიებასაც შეეცდება. მეტოქეზე ჯავრი (ცხადია გოლებით) კი ზაზამ იმიტომ უნდა იყაროს, რომ მძიმე ტრავმა სწორედ მოსკოვის „სპარტაკის" მცველებმა მიაყენეს. ეს პირველი წრის შეხვედრაში მოხდა.

არ არის გამორიცხული, ხვალინდელ თამაშში ჯანაშიას „სპარტაკის" თავკაცმა ოლეგ რომანცევმა პერსონალურად გუნდის ქართველი ახალწვეული ოთარ ხიზანეიშვილი მიუჩინოს. რომანცევს ოთარის განაცხადში შეყვანის დიდი იმედი აქვს და ალბათ აისრულებს კიდეც საწადელს. ხიზანეიშვილის ჯანაშიას მეურვეობა კი იმიტომაცაა მოსალოდნელი, რომ „სპარტაკის" მწვრთნელ-პრეზიდენტმა ჩვენებურ მცველზე ამას წინათ თქვა, ეს ბიჭი პერსონალურ მეურვედ გამოდგებაო.

ვანო ოქროპირიძე

# მერანი ჯერაც ფიქრობს

## დავით ჯიშკარიანი სერგო გაბელაიას დაეხმარება

თბილისის „მერანი" ლაგოდეხში შეკრების მოწყობას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით კვლავაც შინ, „სინათლის" სტადიონზე განაგრძობს მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას. კლუბის მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაიას ხელმძღვანელობით ამჟამად 34 ფეხბურთელი ვარჯიშობს. შეკრების შეფერხების მიზეზიც ესაა, ყველას ვერ წავიყვანთ, ამიტომ ლაგოდეხში მას შემდეგ გავემგზავრებით, რაც გაბელაია მათგან 22 ფეხბურთელს შეარჩევსო, ამბობენ ავჭალელები.

ერთი სიტყვით, „მერანს" ახალწვეულები არ აკლია, მათ შორის კი ახალგაზრდები სჭარბობენ. მოწვეულთა უმეტესობა გასულ სეზონში რეგიონალურ ლიგაში თამაშობდა, თუმც ერთი-ორი გამოცდილი, ეროვნულ ჩემპიონატში ჭიპმოჭრილი ფეხბურთელიცაა.

„მერანის" ვიცე-პრეზიდენტის ანზორ მამალაძის თქმით, კლუბს დაუბრუნდა დემურ კაკუბავა. დიდი შანსია, მომავალ სეზონში ამ გუნდის მაისური კიდევ ერთმა ექსმერანელმა გელა ქორიძემ მოირგოს. ქორიძე ბოლო დროს ავჭალელებთან ერთად ემზადებოდა. დიდი სურვილიც ჰქონია, კარიერა ამ კლუბში გააგრძელოს, თუმცა ყველაფერი მასზე არ არის დამოკიდებული. გელა მეთერთმეტე ჩემპიონატში „ბათუმის" სახელით გამოდიოდა და გუნდს მთავარ მწვრთნელ ჯანი კარნევალისთან შეთანხმების გარეშე ვერ დატოვებს. როგორც შევიტყვეთ, კარნევალი ბათუმში დღეს ჩამოდის, ქორიძეც იქ ჩასულა, იტალიელთან მოლაპარაკებას აპირებს.

მერანელები მეთორმეტე ჩემპიონატის პირველ ტურს განსაკუთრებულად შეხვდებიან. პირველივე მატჩში ავჭალელები ფეხბურთიდან ძირძველ მერანელ დავით ჯიშკარიანს გააცილებენ, რომელსაც ბუცების კედელზე ჩამოკიდება განუზრახავს. დათო აქტიური ფეხბურთიდან ფაქტობრივად უკვე წასულია. მამალაძის თქმით, ჯიშკარიანი უსაქმოდ არ დარჩება, კლუბი მას ამაგს დაუფასებს. ამიერიდან დავით ჯიშკარიანი „მერანის" თავკაც სერგო გაბელაიას დაეხმარება გუნდის გაწვრთნაში.

ვანო ოქროპირიძე



დავით ჯიშკარიანი

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი) | გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი) | 09.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს.<br>*დილა 4:0, სპარტაკი (ბულგარეთი) 1:0* |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კოტრიკაძე* | მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი) | სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილაძე (ს.ა. იბერია) | 22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრიბა. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება<br>*თსუ 0:1, ჭადუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0* |
| დინამო<br>*რევაზ არველაძე* | ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (?) | კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი) | *შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1*<br>12.07 თბილისში შეიკრიბება |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნევალი* | მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (მუქურა), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, გელა ქორიძე (?) | კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), ნივნივაძე (არსენალი), კ. მეავანაძე (მუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი) | 07.06-დან შვებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი) | რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეჟავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2) | 25.06-დან ფოთში ვარჯიშობდა. 11.07-21.07 ბაკურიანში ემზადება |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), გ. მაისურაძე (?) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი) | 27.06-დან თბილისში ვარჯიშობს |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ქვანია, ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი) | | 30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება |
| დილა<br>*მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოქლაშვილი (მწვრთნელი) | მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | 21.06-დან გორში ვარჯიშობს<br>*ლოკომოტივი 1:3, 1:3, ტორპედო 0:4* |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | დევაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა) | ოდიშარია (ხობი), დავითნიძე (კოლხეთი) | 01.06-დან შვებულებაშია. 10.07-იდან ლაგოდეხში მოემზადება |
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაკიაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, ონიანი (?), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი) | გონჩაროვი (თბილისი), ქვანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი), ივეჩიანი (იბერია), კობესაშვილი (?) | 25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 16.07-დან ლაგოდეხში მოემზადება<br>*დილა 3:1, 3:1, გორდა 0:1, 1:1* |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია) | მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი) | 01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება<br>*ვიტ ჯორჯია 1:0* |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ლ. ალადაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), კიტეიშვილი (ხარაზი უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი) | ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი) | 28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს<br>*ლოკომოტივი 1:0, 1:1* |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპა გაგიჟდა!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ეს კვირა ტარნსფერების (გნებავთ განხორციელებული, გნებავთ შეთავაზებული) მხრივ მართლაც არანორმალური გახლდათ. ჯერ იყო და, „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ ორიოდ სავაჭრო ოპერაციის შემდეგ „პარმადან“ 54 მილიონ დოლარად წაიყვანა ერნან კრესპო. კრანიოტიმვე გადაუხადა „უდინეზეს“ 43 მილიონი სტეფანო ფიორესა და ჯულიანო ჯანიკედაში და ყიდვისთანავე ეს ფეხბურთელები ყოფილსავე კლუბს მიაქირავა. „ლაციოს“ პრეზიდენტი ამას არ დასჯერდა და იმავე „პარმას“ 53 მილიონი შეაძლია ფაბიო კანავაროში. თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ევრო 2000-ის ერთ-ერთი გმირი 2001 წლამდე „პარმადან“ ფეხს ვერ მოიცვლის. „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი 50 მილიონ დოლარს ჰპირდება „მანჩესტერ იუნაიტედს“ პოლ სქოულზის სანაცვლოდ. მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა ფლორენტინო პერესმა ხალხს მიმართა: ამირჩიეთ კლუბის პრეზიდენტად და „ბარსელონადან“ ლუიშ ფიგუს ჩამოგიყვანთ 57 მილიონადო...

ევროპა საფეხბურთო სიგიჟემ მოიცვა. მართალია, ტრანსფერების უმრავლესობა ჯერ შეთავაზებების დონეზეა, მაგრამ ეს ხომ საფეხბურთო სამყაროა, სადაც სიტყვას და საქმეს შორის მეტად მცირე სხვაობაა.

აქ ლოგიკურად იბადება კითხვა: ღირს კი რომელიმე ზემონახსენები ფეხბურთელი იმდენი, რამდენიც მასში გადაიხადეს ან აპირებენ, გადაიხადონ? ეს წერილი თხუთმეტი-ოცი წლის წინ რომ დაწერილიყო, პასუხი დაახლოებით ამგვარი იქნებოდა: „ფეხბურთელი ადამიანია, ხოლო ადამიანებით ვაჭრობა უზნეობა და მონათმფლობელური წყობილების გადმონაშთია. იმპერიალისტური სამყაროს მგლური კანონები სპორტსაც მისწვდა და თავის მარწუხებში ითრევს. აი, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ კაპიტალიზმს ძირი გამოულპა და მალე ხუხულასავით დაინგრევა.“ მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი 21-ე საუკუნის მიჯნაზე იწერება, საიდანაც კარგად ჩანს, ვინ დალპა და დაინგრა, აღნიშნულ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა მაინც ძალიან რთულია.

ისევ წარსულს გადავხედოთ და გავიხსენოთ, რომ დიეგო მარადონა „ბარსელონამ“ 5 მილიონად იყიდა, „ჰამბურგმა“ კევინ კიგანი ერთ მილიონ დოლარად ჩაიგდო ხელში, ხოლო პელეს მსურველი კლუბები მზად იყვნენ, მასში იმ დროისთვის ზღაპრული თანხა, 300 ათასი დოლარი გადაეხადათ. თუ ნიმუშად ამას ავიღებთ, ცხადია, არც ერთი თანამედროვე ფეხბურთელი არ ღირს იმად, რასაც მასში იხდიან ან აპირებენ რომ გადაიხადონ. ამ ლოგიკით, თუ კრესპოს ფასი 54 მილიონია, მარადონას ფასში იმდენი ნული უნდა ეწეროს, რომ ადამიანს სათვალავი აერიოს. თუმცა... განა მაშინდელი, თუნდაც მარადონასდროინდელი და ახლანდელი ფეხბურთი ერთია? აქ ფეხბურთს მხოლოდ როგორც თამაშს, ისე ნუ განვიხილავთ, ცოტა საფეხბურთო ბიზნესზეც ვთქვათ.

იარაღის ბიზნესი, ნარკობიზნესი, შოუბიზნესი, პორნობიზნესი... ამათ გვერდით საფეხბურთო ბიზნესი ნელ-ნელა უფრო თამამად ჩნდება. ფეხბურთი დიდი ხანია აღარ არის ერთ ბურთს გამოდევნებული ოცდაორი კაცი, იგი უკვე ერთგვარი ინდუსტრიაა, თავისი ტრადიციებით თუ წეს-კანონებით.

რეკლამა, საკლუბო მაღაზიები, საკლუბო ატრიბუტიკა, სუვენირები, ბილეთები, აბონემენტები — ყველაფერი ეს საფეხბურთო ბიზნესის შემადგენელი და მეტად სარფიანი ნაწილია. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის ის, რამაც ფეხბურთში აურახელი ფული მოიტანა და, ვთქვათ, ნიკოლა ანელკას ფასად 35 მილიონი დოლარი დაადო. კლუბების სააქციო საზოგადოებებად გადაქცევა და ტელეტრანსლაციათა უფლებების გაყიდვა — აი, თანამედროვე ფეხბურთის შემოსავლების ძირითადი წყარო. ამბობენ, ფეხბურთში დიდძალი „შავი ფული“ ტრიალებს, რომელიც სხვადასხვა კლუბის საშუალებით „თეთრდებაო“, მაგრამ, ვეჭვობ, ჩვენთან ვინმემ იცოდეს რაგინდარა ფერის ფულის წარმომავლობა, მოძრაობა და დანიშნულება. ამიტომ, მოდით, რაც არ ვიცით, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ.

კლუბების სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება ჯერ ინგლისში მოხდა, ოდნავ მოგვიანებით კი — იტალიასა და ესპანეთში. სხვათა შორის, სატრანსფერო ბაზარზე უმეტესწილად ამ ქვეყნების კლუბები აქტიურობენ. კლუბებმა გამოუშვეს აქციები, რომლებიც სხვადასხვა საფონდო ბირჟაზე დატრიალდა. ამით გუნდი (კლუბი), რომელიც თერთმეტი ტრუსიანი კაცის კრებულად აღიქმებოდა, გახდა




რისკ-ფაქტორი პრეზიდენტებისთვის: „ინტერის“ 50-მილიონიანი შენაძენი კრისტიან ვიერი მალევე დაშავდა და დღესაც ვერ თამაშობს

ჩვეულებრივი კომპანია, რომელიც სხვადასხვაგვარ ეკონომიკურ საქმიანობას აწარმოებს. კლუბი ქმნის პროდუქციას (ანუ თამაშობს მატჩს) და მერე მას ყიდის (სტადიონზე მისული კაცი თუ ტელემაყურებელი თამაშის სანახავად ფულს იხდის). სხვა საქმეა, რამდენად შემოსავლიანად გაყიდის კლუბი თავის პროდუქციას. აქ სცენაზე შემოდიან მძლავრი ტელეკომპანიები, რომლებიც მზად არიან, თავისთვის სასურველ პროდუქციაში (იქნება ეს რომელიმე ტურნირი თუ ცალკეული მატჩი) ასტრონომიული თანხა გადაუხადონ კლუბს. ტელეკომპანიებს ეს სარეკლამო შემოსავლებისთვის სჭირდებათ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გონიერი მმართველის ხელში საფეხბურთო კლუბი ფულის საჭრელ დაზგად იქცევა. მაგალითი გნებავთ? „მანჩესტერ იუნაიტედის“ შარშანდელი წლიური მოგება (ყოველგვარი ხარჯის გასტუმრების შემდეგ) მილიარდ ორასი მილიონი გირვანქა იყო. ეს კი დაახლოებით ორი მილიარდი დოლარია. ვფიქრობ, თქვენც იცით ისეთი ქვეყანა, რომლის წლიური ბიუჯეტი (სეკვესტრის გარეშე) ამ თანხის ნახევარზე ნაკლებია.

მაშ ასე, კლუბს აქვს ფული, რომელიც უნდა დაასაქმოს ანუ დაასაქონლოს. კლუბები იწყებენ მათთვის სასურველი მოთამაშეების შეძენას, რითაც სალაროში დაგროვილ ფულს გზას უხსნიან. აქ მეორე კითხვას მივადექით: ულირთ კი კლუბის ხელმძღვანელებს სასურველი მოთამაშეები იმ თანხებად, რომლებსაც მათში იხდიან? გავკადნიერდები და პირდაპირ ვიტყვი — რადგან იხდიან, ესე იგი, ულირთ. აბა, უკაცრავად და, სულელები არიან? ვერ დავიჯერებ, რადგან კლუბის პატრონ-პრეზიდენტები მილიარდერები თუ არა, მილიონერები მაინც არიან, ხოლო სულელი მილიონებს ვერ იშოვის.

რატომ გადაყრის ტყუილად ფულს ბერლუსკონი? ვაჭრობა არ იცის, მოთამაშე ჯერ არ უყიდია, ფულის კეთების ხერხები დაავიწყდა თუ რა? დარწმუნებული ვარ, მას უკვე მოფიქრებული აქვს ბექემში გადასახდელი 64 მილიონის უკან ამოღების გეგმა. ამისთვის კი უამრავი გზა არსებობს, რომელთა შესახებ საუბარიც შორს წაგვიყვანს და, საერთოდ, ცალკე წერილის თემაა. ცხადია, რისკ-ფაქტორიც არსებობს: ხომ შეიძლება, შენაძენმა 35-მილიონიანი დენილსონივით ვერ გაამართლოს, ან 50-მილიონიანი კრისტიან ვიერივით დაიმტვრეს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ რომელი ბიზნესია ამქვეყნად ყველაფრისგან დაცული, საფეხბურთო ბიზნესი რომ იყოს?

იმასლა დავძენთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბექემი 64 მილიონზე მეტად ულირს, რადგან გუნდის მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ბერლუსკონის წინადადებას მოკლედ მოუჭრა: „ბექემი არ იყიდება.“

რას უპასუხებს ბერლუსკონი? მოდით, ამასაც ჩვენს სადარდებლად ნუ გავიხდით. როცა სალარო სავსე გაქვს, მილიონერებთან მილიონებით თამაში ძალიან ადვილია. ძნელი სხვა თამაშია — როცა ბოლო ორმოცდაათი თეთრი გაქვს და ვერ გადაგიწყვეტია, პური იყიდო თუ ის დღე „ასტრის“ გარეშე გაატარო.

# ადამიანთა ბაზარი

ისევ „ლაციოზე“ ვისაუბროთ. ერნან კრესპოს გახმაურებული ტრანსფერის შემდეგ რომაულმა გუნდმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და მის გარშემო ჭორ-მართლის ბული დადგა.

გნებავთ ახალი ამბავი? კი ბატონო, ამბობენ „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი პარმელ კოლეგას კლაისტო ტანცის კრესპოს თაობაზე რომ ურიგდებოდა, იმაზეც მოელაპარაკა, რომ ერთი წლის შემდეგ ანუ 2001-02 წლების სეზონისთვის, დაახლოებით 40-50 მილიონ დოლარად მისგან ფაბიო კანავაროს იყიდისო. კანავარომ, მოგეხსენებათ, ახლახან დამთავრებულ ევრო 2000-ზე საუცხოოდ ითამაშა და უწინდელზე ერთიორად პოპულარული და ძვირი გახდა.

მაგრამ კანავაროს ამბავი საგაისოა, მანამდე კი დღევანდელი კვერცხის საკითხებია მოსაგვარებელი. კერძოდ, ვინაიდან კრესპოს შეძენამ „პარმაში“ ორი ფეხბურთელის, მატიას ალმეიდასა და სერჟიუ კონსეისაუს გაცემა მოითხოვა, რომაელთა მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი კი კონსეისაუს შემცვლელს ეძებს, წინ „ბარსელონასგან“ ჰოლანდიელი ბუდევინ ზენდენის შეძენის სურვილმა წამოიწია. როგორც ცნობილი გახდა, ამ საქმეს 14 მილიონი დოლარი და 23 ივლისამდე მოცდა სჭირდება. 23 ივლისს „ბარსელონაში“ კლუბის პრეზიდენტის არჩევნებია და მანამდე, ბუნებრივია, კატალონიელები არც ვინმეს იყიდიან და არც გაყიდიან. ისე კი, თითქოს, საქმე მოგვარებულია და დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ზენდენი რომში ჩავა.

ერთი სიტყვით, „ლაციო“ დიდ ვაჭრობაშია. გუშინ სერჯო კრანიოტის იტალიის ტელევიზიამ ჩამოართვა ინტერვიუ, სადაც პრეზიდენტმა განაცხადა:

„თავს ხელმწიფედ ნამდვილად არ ვგრძნობ, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ კლუბსაც ისეთივე წარმატებით ვუძღვები, როგორც კომპანიას. მართალი გითხრათ, თავიდან კრისტიან ვიერის შეძენა მეწადა, რადგან მისი გაყიდვის შემდეგ ხალხმა ათასი რამ დამაბრალა და მინდოდა საპირისპირო დამემტკიცებინა, მაგრამ არ გამოვიდა. სამაგიეროდ კრესპო ვიყიდე, ფეხბურთელი მებრძოლი სულითა და ძალიან დიდი მომავლით. ვფიქრობ, დღეს „ლაციოს“ მსოფლიოს კლასის შემადგენლობა ჰყავს. ბატისტუტა? როგორ არ მინდოდა, მაგრამ „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი ჩემზე სხარტი გამოდგა. და მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ბატისტუტა რომშია და არა მილანში. რომი დიდ საფეხბურთო ქალაქად ყალიბდება“.

ამის შემდეგ საუბარი „ბარსელონას“ პორტუგალიელ ვარსკვლავს, ლუიშ ფიგუსაც შეეხო.

„ფიგუ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და ვგონებ, დღეს თუ „ლაციოს“ ვინმე აკლია, სწორედ ისაა“.

ბუნებრივია, ყველა ვარსკვლავის ერთ გუნდში თავმოყრა შეუძლებელია და ამიტომ ფიგუს „ლაციოში“ არყოფნას ჭეშმარიტი გაგებით პრობლემას ვერ ვუწოდებთ. სირთულემ შესაძლოა სხვაგან იჩინოს თავი: კრესპო ხელფასად წელიწადში 6 მილიონ დოლარს ითხოვს. ასეთი გასამრჯელო იტალიაში ერთ ფეხბურთელსაც არ აქვს და პრეცედენტმა შესაძლოა, სხვათა მოთხოვნების გაზრდა გამოიწვიოს. ამრიგად, კრანიოტის ერთ მშვენიერ დღეს სხვა ვარსკვლავები რომ მიადგნენ და „სილარიბეზე“ დაიწუწუნონ, არ უნდა გაუკვირდეს.

თუმცა, კრანიოტი გამჭრიახი ბიზნესმენია და, ალბათ, რაიმეს მოახერხებს. ალბათ, რაიმეს მოუხერხებს კონსეისაუსაც, რომელმაც შესაძლოა გამოუცხადოს, „პარმაში“ ხურდად რომ გამეცი და არაფერი მკითხე, ახლა მიყურე, მაგ გუნდში ჯიბეზე ფეხსაც არ მივილო.

მიხეილ სურგულაძე

# კრესპოს გამყიდველი პალერმოს ყიდულობს






მარტინ პალერმო (მარცხნივ) ერნან კრესპოზე ნაკლები ბიჭი არ არის, თანაც ორივე ერთნაირად თამაშობს — მიაჩნიათ პარმაში

„ლაციოს“ ქომაგები კმაყოფილნი არიან. კლუბის პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ მათ ანჯელო პერუცი, კლაუდიო ლოპესი, ერნან კრესპო, სტეფანო ფიორე და ჯულიანო ჯანიკედა უყიდა. ბუდევინ ზენდენიც რიგში დგას.

„პარმას“ გულშემატკივრებმა კი რა ქნან? კრესპო ჰყავდათ და ისიც გაუყიდეს. მასში აღებული 54 მილიონი კი ქომაგთათვის ვერაფერი ნუგეშია. მაგრამ მათ შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, პრეზიდენტი კრესპოს შემცვლელის ძებნას შეუდგა და ერთი კანდიდატურა უკვე შეარჩია. ეს კრესპოს თანამემამულე მარტინ პალერმო გახლავთ. „პარმას“ მწვრთნელი ალბერტო მალესანი მასზე დიდ იმედებს ამყარებს. კრესპო და პალერმო ერთნაირი სტილის ფეხბურთელები არიანო, ამბობს მწვრთნელი.

მარტინ პალერმო არგენტინის ჩემპიონატის სუპერვარსკვლავია, თუმცა გასულ წელს მან რონალდოსებური მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო (აგდებული ბურთისთვის იბრძოდა და უხერხულად დახტა) და შვიდთვიანი მკურნალობის მერე ფეხბურთს ახლახანლა დაუბრუნდა. მარტინ პალერმოსვე ეკუთვნის ერთი უნიკალური ანტირეკორდიც. „კოპა ამერიკაზე“ არგენტინა — კოლუმბიის შეხვედრაში კოლუმბიელთა კარში სამი პენალტი დაინიშნა, სამივე პალერმომ დაარტყა და სამივე ააცილა.

საინტერესოა, რომ „პარმას“ თავდაპირველად ერნან კრესპოს შემცვლელად ჩილელი მარსელო სალასი ეგულებოდა. „ლაციოსთან“ მოლაპარაკებებზე ასეთი წინადადებაც ჰქონდათ — დაგითმობთ კრესპოს, სანაცვლოდ მოგვეცით ფული და მარსელო სალასი. მაგრამ როგორც უკვე ვიცით, „ლაციო“ სალასს ვერ შეელია და კრესპოში გადახდილ ფულს ჩილელის ნაცვლად მატიას ალმეიდა და სერჟიუ კონსეისაუ დაუმატა.

გიორგი დარჯანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლაუდია შიფერი რეალში თამაშს იწყებს

## ფლორენტინო პერესი მადრიდელებს ფიგუსთან ერთად ზიდანსაც ჰპირდება, სანსმა კი კონკურენტი გააქილიკა



ლორენსო სანსი



ფლორენტინო პერესი




გაზეთ „მარკას“ გამოკითხვით ფლორენტინო პერესს პრეზიდენტობის მეტი შანსი აქვს

**დღეს** საბოლოოდ გვიწევს მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობის კანდიდატთა ჭიდილზე საუბარი. არჩევნები ხვალ შედგება და გამარჯვებული პოსტს ოთხი წლით ჩაიბარებს.

„რეალის“ პრეზიდენტობა ეგებ ბევრმა ისურვა, მაგრამ ხმამაღლა ამის თაობაზე მხოლოდ ორმა — მოქმედმა პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა და ფლორენტინო პერესმა განაცხადეს.

პრეზიდენტებს საერთო მხოლოდ ერთი აქვთ — ორივე 53 წლისაა. მსგავსება ამით ამოიწურება. თუმცა არა, ორივე მსხვილი კომპანიების და დიდძალი ქონების პატრონებიც არიან. სხვა მხრივ კი მათი შედარება ძნელია. მაგალითისთვის სანსს იპოდრომზე ცხენით ჯირითი უყვარს, პერესი კი კინოთეატრში სიარულს ამჯობინებს.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებისას კანდიდატთა შანსები მეტად არათანაბარი იყო. კლუბის წევრთა უმრავლესობა სანსს ანიჭებდა უპირატესობას. ბოლოს და ბოლოს, „რეალს“ ჩემპიონთა თასი 1966 წლის მერე არ მოეგო და ბოლო სამ წელიწადში ორჯერ მოახერხა. ამიტომაც იყო, რომ ლორენსო სანსმა მძლავრი საარჩევნო კამპანია არ წამოიწყო, ყველაფერი ისედაც ნათელიაო.

ამ დროს კი ფლორენტინო პერესმა მადრიდელებს განუცხადა, ამირჩიეთ პრეზიდენტად და „რეალში“ ლუიშ ფიგუს გადმოვიყვანო. პერესის შანსები გაიზარდა. მერე მან ესპანურ პრესაში ფეხბურთელის აგენტთან წინასწარი შეთანხმება გამოაქვეყნა და ლორენსო სანსს სახიფათოდ მიუახლოვდა. პერესის შემდეგმა ნაბიჯმა კი სანსის ბანაკი სერიოზულად შეაშფოთა. შეგახსენებთ, პერესმა „რეალის“ ქომაგებს უთხრა, ფიგუს გადმოყვანა თუ ვერ შევძელი, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რამდენი ადგილიც არის, იმდენ სეზონურ აბონემენტს ვიყიდი და გაჩუქებთო. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კი 75 ათასი კაცი ეტევა და თითო აბონემენტის ფასიც 114 დოლარია.

გგონიათ, ფლორენტინო პერესის ფანტაზია ამით ამოიწურა? არავითარ შემთხვევაში. არჩევნებამდე ორი დღით ადრე ის ახალ განცხადებას აკეთებს — მე თქვენ გიყიდით ზიდანს! ზიდანთან დაკავშირებით პერესს არც მის აგენტთან გაუმართავს მოლაპარაკება და არც ვინმეს დანიძლავებია. რომ ვთქვათ, არც სჭირდება. ფიგუს ამბავი მას ისე კარგად გამოუვიდა, ბევრ გულშემატკივარს ეჭვიც არ ეპარება, რაკი ზიდანის გადმოყვანას გვპირდება, შეასრულებს კიდეცო. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ლორენსო სანსი შეშფოთებულია, იმ სავარძლის დაკარგვის საშიშროება იგრძნო, რომელზეც ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მყარად იჯდა.

სანსი, რომელიც თავიდან პერესის განცხადებებს მასხრად იგდებდა, მიხვდა, რომ კონკურენტის მხოლოდ გიჟად შერაცხვა სასურველ ეფექტს ვერ მოუტანდა და სხვა რამ მოიფიქრა. ერთი წლის წინანდელი ვიდეოკასეტა მოიძია, რომელზეც ის კადრებია აღბეჭდილი „ბარსელონამ“ ესპანეთის ჩემპიონობა რომ მოიგო. იქ ერთი ასეთი ეპიზოდიცაა, ლუიშ ფიგუ კატალონიელ ქომაგთა შეთხზულ ანტირეალურ სიმღერას მღერის. სანსმა ეს ჩანაწერი ადგილობრივი ტელევიზიით „რეალის“ გულშემატკივრებს აჩვენა და კომენტარიც დაურთო, კიდევ გსურთ, ფიგუს, ჩვენი დაუძინებელი მტერის, „რეალში“ ხილვაო?

ლორენსო სანსს არ გაუმართლა. ეფექტი ისეთი არ იყო, როგორსაც მოელოდა. გულშემატკივრებმა თქვეს, ბარსელონელი კაცი რომ გვაძაგებდეს, რა გასაკვირია, აი, გადმოვა „რეალში“ და ანტიბარსელონურად ვამღერებთო. სანსმა ამოიოხრა, პერესი იმდენ რამეს გპირდებათ, არ გამიკვირდება, გუნდში კლაუდია შიფერის გადმოყვანაზეც რომ ალაპარაკდესო.

ყოველივე ამის შემდეგ ლორენსო სანსს ერთი გზაღა დარჩა, ფლორენტინო პერესს მისივე იარაღით უნდა ებრძოლოს, ანუ თავადაც ვინმეს გადაბირებას შეეცადოს. მან მალიორკელ დიეგო ტრისტინს დაადგა თვალი. მადრიდელებს განუცხადა, ტრისტინის წაყვანა „ფიორენტინას“ სურდა, მაგრამ საქმეში ჩავერიე და პრეზიდენტად ხელახლა თუ ამირჩევთ, გპირდებით, ამ ფეხბურთელს იტალიელებს ცხვირწინ ავაცლიო. იქვე დაუმატა, მალიორკელში 17 მილიონი დოლარის გადამხდელი ვარო. აჯობებს ტრისტანი ფიგუს?

წინასაარჩევნო ინტრიგებზე საუბარი ამით დავასრულოთ და ხვალინდელ შედეგს დაველოდოთ. ვინ გაიმარჯვებს? მართალია, ფლორენტინო პერესმა ბოლოხანს უამრავი ამომრჩევლის გული მოინადირა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ლორენსო სანსს ორჯერ ჩემპიონთა ლიგის მოგება უმაგრებს ზურგს. ასე რომ, ვნახოთ.

**გიორგი დარჯანია**

# ლიდსმა პრემიერლიგა მოიგო

რომ არ გაგიკვირდეთ, აქედანვე გეტყვით — ინგლისური „ლიდს იუნაიტედი“ პრემიერლიგის ჩემპიონია... ხულიგნობაში.

დიახ, როგორც გუშინ ნისლიან ალბიონზე ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, ყველაზე ექსცენტრული და ხულიგანი ფანები სწორედ იორკშირელებს ჰყოლიათ.

„ლიდსს“ სამჯერ მეტი გარეწარი და თავხედი ქომაგი აღმოაჩნდა, ვიდრე ლონდონის „ჩელსის“. განცხადებაში შავით თეთრზე წერია, რომ 155 ქომაგიდან, რომელთაც ინტერპოლი ეძებს და სასამართლოს ძალით აკრძალული აქვთ საერთაშორისო თამაშებზე დასწრება და გასვლით მატჩებზე სიარული, 95 ლიდსელია.

ცხადია, „ლიდს იუნაიტედის“ პრეზიდენტი პიტერ რიდსდეილი გამოკითხვის შედეგებმა განაცვიფრა, თუმცა ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს და აღიარებს: „ჩვენ ხომ ბოლო დროს ბლომად აღმზრდელობითი სამუშაოები ჩავუტარეთ ფანებს, მაგრამ სიმართლეს ვერ გავექცევით. რაც შეეხება ევროპაში გასვლებს, „ლიდსის“ ფანებს, აგერ უკვე ორი წელია, ისეთი არაფერი ჩაუდენიათ, თვით სტამბოლშიც კი, როცა ჩვენი ორი ფანი თურქებმა სადისტურად მოკლეს. ვერ ვიტყვი, რომ ხულიგნობას უკვე მოვერიეთ, მაგრამ ის, რომ ჩემპიონი და ყველაზე უარესი გუნდი ვართ, არ ვეთანხმები“.

# რობსონი გარუსებას აპირებს



**რუსეთის** ნაკრებში მალე შესაძლოა „სპარტაკის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ლუის რობსონმა ითამაშოს. „რობსონი რუსეთის ნაკრებში? რატომაც არა? გასაკვირი არაფერია“ — განაცხადა ეროვნული გუნდის თავკაცმა ოლეგ რომანცევმა. „თუ ნაკრებში მიმიწვევენ, ბედნიერი ვიქნები, ეს ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია“ — თქვა 25 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებში არასდროს უთამაშია და ამიტომ თუ რუსეთის მოქალაქეობას მიიღებს, ახალი ქვეყნის ეროვნულ გუნდშიც შეძლებს თამაშს. პრესა რობსონის გარუსების საკითხს ერთობ კმაყოფილი შეხვდა და არც გასაკვირვებია. „რობსონის თამაში რუსეთის ნაკრებში ფანტაზია სულაც არაა. შემოდგომის დასაწყისში მან იქნებ სადებიუტო მატჩიც ჩაატაროს“ — წერს რუსული გაზეთი „სპორტ ექსპრესი“.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** სააგენტოების ცნობით, „ინტერმა“ „ფიორენტინას“ კრისტიან პანუჩის მორენო ტორიჩელიში გაცვლა შესთავაზა. მადრიდის „რეალიდან“ „ინტერში“ გადასული პანუჩი ბოლო ხანს მილანური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა. იუწყებოდნენ, რომ მარჩელო ლიპისთან კონფლიქტის გამო მას გუნდის დატოვებაც სურდა. „ინტერის“ თავკაცს კი ტორიჩელის შეძენა სურს. ეს ფეხბურთელი რამდენიმე სეზონის წინ სწორედ ლიპის „იუვენტუსში“ თამაშობდა. მილანურ კლუბში კიდევ ერთი საინტერესო სიახლეა — „ინტერის“ არგენტინელმა ლეგიონერმა ხავიერ ძანეტიმ დაადასტურა, რომ მადრიდის „რეალში“ იწვევენ. „სამეფო კლუბის“ წარმომადგენლებთან პირადად არ მისაუბრია, თუმცა გავიგე, რომ ჩემი შეძენით დაინტერესდნენ. ისინი ჩემს აგენტსაც შეეხმიანენ. „ინტერში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ. აქ ხუთი სეზონი გავატარე და კონტრაქტი 2004 წელს მისრულდება, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, გამიშვებენ, თუ არა“ — განაცხადა ძანეტიმ.

**ინგლისელი ნახევარმცველის სტივ მაკმანამანის შეძენა „რომას“ მოუნდა. ფაბიო კაპელომ მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელს უკვე კარგა ხანია, დაადგა თვალი და არ არის გამორიცხული, ახალი სეზონის დაწყებამდე დაიყოლიოს კიდეც. შეგახსენებთ, რომ მაკმანამანი „რეალში“ შარშან „ლივერპულიდან“ გადავიდა. იგი წელიწადში 3,3 მილიონ გირვანქას იღებს. ესპანური სააგენტოები კი იუწყებიან, რომ „რეალი“ ინგლისელ ნახევარმცველთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს, თუმცა კვირას მადრიდული კლუბის პრეზიდენტის არჩევნებია და მაკმანამანის საკითხი ალბათ ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ გაირკვევა.**

**ესპანელმა** ფორვარდმა დანი გარსიამ სეზონი შესაძლოა ახალ კლუბში დაიწყოს. „ბარსელონას“ ფეხბურთელს „არსენალსა“ და „მიდლსბროში“ იწვევენ, სულ ახლახან კი მისი შეძენის სურვილი „ნიუკასლ იუნაიტედმაც“ გამოთქვა. დანი კატალონიურ კლუბში შარშან „მალიორკადან“ 10 მილიონ გირვანქად გადავიდა. მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ბარსელონაში“ ბედნიერია და კლუბის გამოცვლას არ აპირებს. კატალონიურ გრანდში მალე შესაძლოა ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ალფონსო პერესიც ჩაირიცხოს. ფეხბურთელი პრიმერადივიზიონიდან გავარდნილ „ბეტისში“ ალბათ აღარ დარჩება.

**ესპანეთის მეორე დივიზიონში დაქვეითებული „ატლეტიკოს“ სამი ფეხბურთელი — ხუან კარლოს ვალერონი, მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინა და ხუან კაპდევილა ახალი სეზონიდან ქვეყნის ჩემპიონ „დეპორტივოში“ ითამაშებენ. ესპანური სააგენტოების ცნობით, გალისიურმა კლუბმა მათში მადრიდელებს 19,1 მილიონი დოლარი გადაუხადა.**

**იტალიის** სერია A-ში ახალგადასულმა „ვიჩენცამ“ „პარმასგან“ რაფაელე ლონგო ერთი წლით ითხოვა. იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილმა წევრმა პარმული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და დროებით სხვა გუნდში თამაში არჩია. 23 წლის ლონგოს „ატალანტაშიც“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ გულმა „ვიჩენცასკენ“ გაუწია. ლონგომ წლეულს „პარმაში“ მხოლოდ რამდენჯერმე ითამაშა, რადგან ავტოკატასტროფაში მოხვდა. ახლა რამდენიმე თვეა ვარჯიშობს, მაგრამ ფორმა ჯერ სრულად ვერ აღიდგინა.

**პორტუგალიელი ნახევარმცველი ჟოზე ვიდიგალი ლისაბონის „სპორტინგიდან“ „ნაპოლიში“ გადავიდა. სპორტულ გაზეთ „გოლის“ ცნობით, სერია A-ში ახალგადასულმა კლუბმა პორტუგალიის ჩემპიონს ვიდიგალის სანაცვლოდ 6 მილიონი დოლარი გადაუხადა. 27 წლის ფეხბურთელი ლისაბონური კლუბის ღირსებას 1995 წლიდან იცავს. წლეულს მან პორტუგალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

**ბრაზილიელმა** ნახევარმცველმა ადრიანომ მარსელის „ოლიმპიკთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფრანგულმა კლუბმა კარლოს ადრიანო სოუზა ვიეირას (ადრიანოს სრული სახელია) სანაცვლოდ „ატლეტიკო პარანენსეს“ 3,8 მილიონი დოლარი გადაუხადა. ბრაზილიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებს, რის გამოც გუნდს ექვსი კვირა ვერ დაეხმარება. 22 წლის ფეხბურთელმა „ოლიმპიკთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი გუნდს საწვრთნელ შეკრებაზე რამდენიმე დღეში შეუერთდება. მარსელელები ახლა მთიან კურორტ ალბერვილში ვარჯიშობენ.

**ინგლისური „ევერტონი“ თანახმაა, შოტლანდიელი ნახევარმცველი ჯონ კოლინზი „ფულემს“ მიჰყიდოს. „სელტიკისა“ და „მონაკოს“ ყოფილი ფეხბურთელი ახალ სეზონს ალბათ პირველდივიზიონურ კლუბში დაიწყებს. სატრანსფერო თანხა უცნობია. „ფულემს“ ამჟამად ფრანგი ჟან ტიგანაავარჯიშებს. იგი კოლინზს „მონაკოდან“ იცნობდა. ტიგანა ხომ ადრე „მონაკოს“ წვრთნიდა. „ევერტონის“ მწვრთნელი უოლტერ სმიტი კი რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენას აპირებს — „ლანსის“ განელ ნახევარმცველ ალექს ნიარკოსთან კონტრაქტი თითქმის გაფორმებულია, ლივერპულელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 6,75 დოლარს იხდიან, სმიტმა „შეფილდ უენსდის“ შვედ ფორვარდ ნიკლას ალექსანდერსონს და „ჰამბურგის“ დანიელ ლეგიონერ ტომას გრავესენსაც დაადგა თვალი.**

**ესპანური** „ალავესი“ ახალ სეზონში უეფას თასზე სათამაშოდ ემზადება და ძლიერდება. მან „რომადან“ იუგოსლაველი ნახევარმცველ ივან ტომიჩი ითხოვა. 24 წლის ფეხბურთელი რომაულმა კლუბმა 1998 წელს ბელგრადის „პარტიზანისგან“ 4,5 მილიონ დოლარად შეიძინა, მაგრამ ტომიჩმა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა. ამრიგად „ალავესმა“ უკვე მერვე ფეხბურთელი დაიმატა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ის რიგებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი, ლეგენდარული იოჰან კრუიფის ვაჟი ხორდი შეუერთდა.

**ბრაზილიელი ფორვარდი ედმუნდო შესაძლოა „პერუჯაში“ გადავიდეს. „ვასკუ და გამას“ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო ფეხბურთელს აღარ ათამაშებენ, რის გამოც იგი სამშობლოს დატოვებას აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, დათანხმდება თუ არა ედმუნდო „პერუჯაში“ გადასვლაზე. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი სერია A-ში ადრეც თამაშობდა. იგი „ფიორენტინას“ ღირსებას იცავდა.**

**უკრაინის** ჩემპიონატის პირველი ტური: დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) — დინამო (კიევი) 1:1; სტალი (ალჩევსკი) — ცსკა (კიევი) 1:2; კრივბასი (კრივოი როგი) — კარპატი (ლვოვი) 5:2; შახტარი (დონეცკი) — მეტალურგი (დონეცკი) 3:0; ტავრია (სიმფეროპოლი) — ნივა (ტერნოპოლი) 3:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 3:1; მეტალისტი (ხარკოვი) — ვორსკლა (პოლტავა) 3:1

**რუსეთის ჩემპიონატი. მე-17 ტური. ტორპედო — დინამო 1:1.**

ევრო 2000

სარბიელის თერთმეტი რჩეული

# იღბლიანი 13 კიდისთვის

...აუჰ, რა დრო გასულაო, იტყვის ალბათ ჯუზეპე ნესტა. 24 წლის წინათ, 1976 წლის 19 მარტს, რომის რკინიგზის სადგურ „ნუოვო სალაროს“ უბრალო მუშის ოჯახში თოფი გავარდა (იქაც სცოდნიათ).

დილის 11-ის ნახევარზე მომავალი ვარსკვლავი მოევლინა ქვეყანას. ბავშვი ახალშობილის კვალობაზე საკმაოდ დიდი გახლდათ, 4 კილოგრამსა და 100 გრამს იწონიდა.

მამა ჯუზეპეს, რომის „ლაციოს“ თავგადაკლული ტიფოზის, ოცნებას ფრთები შეესხა, მესამეც თუ ბიჭი მეყოლა, ფეხბურთელად გავზრდი, კაცად ვაქცევო. დიახ, ალესანდრო მესამე გახლდათ, ნაბოლარა, ფერნანდოსა და კატიას შემდეგ დაიბადა.

დედამ, მარია-ლაურამ, როცა ახალშობილი მიუყვანეს, ბედნიერებისგან მხოლოდ ეს თქვა: ის ძალიან პატარა (ალბათ, ასე მოეჩვენა) და ლამაზია.

პატარა ალესანდროს ძალიან ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. მამა თავს ევლებოდა, რომის „ჰოლივუდში“ — ჩინეჩიტას უბანში გაიზარდა. ფეხბურთისადმი სიყვარულიც მამამ შთაუნერგა. დილით სკოლაში, „მარგარიტა ბოსკოში“ წასვლა, შუადღისას ფეხბურთის თამაში, ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველდღე. სახლის გვერდზე მომცრო მოედანზე დაუღალავად დასდევდა ბურთს თავის უფროს ძმებთან და მის მეგობრებთან ერთად.

ალესანდროს ბავშვობიდანვე ზურგის სკოლიოზი დასჩემდა. ექიმმა განკურნების მიზნით სპორტზე სიარული ურჩია. 8 წლის ალესანდრომ ფეხბურთი ამჯობინა.

1984 წლის ერთ მშვენიერ დღეს ჯუზეპემ ჩინეჩიტას საფეხბურთო სკოლას მიაშურა, ჩემს შვილს თამაში სურს და ხომ არ გასინჯავდითო. მიიღეს, თუმც იქ დიდხანს არ გაჩერებულა, ადგა და თავის საოცნებო გუნდს მიადგა. 8 წლის ალესანდრომაც ვარჯიში ვინმე პიჩიონის ხელმძღვანელობით დაიწყო, მაგრამ დაიწუნეს.

— რა უნდა ექნა საწყალ ჯუზეპეს. „ლაციომ“ უარი უთხრა, სხვა გზა არ იყო, მის მოქიშპე კლუბ „რომას“ მიუყვანა ბავშვი. ფრანსისკო როკამაც, რომელიც „რომას“ ბავშვთა გუნდს ავარჯიშებდა, პატარა ალესანდროს 4-წლიანი კონტრაქტი და 10 მილიონი ლირა შესთავაზა. ცხადია, ბავშვი ხელშეკრულებას ვერ გააფორმებდა, როგორც არასრულწლოვანს, ამის უფლება არ ჰქონდა. ჯუზეპემ, მიუხედავად თავისი „ლაციოსადმი“, ჯიუტი ერთგულებისა ცთუნებას ვერ გაუძლო და თანხმობა განაცხადა, მაგრამ მწვრთნელისა და მამის საუბარს ალესანდრომ მოჰკრა ყური, მივიდა მათთან და ჰკითხა, რამდენს აძლევთ მამაჩემს ფულს? როკამ ეს შეურაცხყოფად მიიღო და ბავშვი მოიშორა, შენ არავინ გეკითხებაო. ალესანდრო გაბრაზდა და მოკლედ მოუჭრა — „რომაში“ არ დავრჩები, „ლაციო“ მირჩევნიაო.

მამა ჯუზეპეს კიდევ ერთხელ გაუცრუვდა იმედი. შინ დაღონებული დაბრუნდა.

ერთხელაც, 1985 წლის 13 ივლისს, ჯუზეპემ გაზეთში ამოიკითხა, „ლაციო“ ნიჭიერ ბავშვებს ეძებსო. ამის მერე შინ რაღა გააჩერებდა და სან ბაზილიოს უბანს, „ლაციოს“ ბავშვთა გუნდის საწვრთნელ ბაზას მიაკითხა. „სტეფანინოს“ სტადიონზე 300-მდე ყმაწვილი ვარჯიშობდა. საუკეთესოებს ვინმე პატარკა არჩევდა. ვარჯიშის მერე პატარკამ ალესანდრო შეაქო, მამამისი იხმო და უთხრა — ალესანდრო ძალიან კარგი ბიჭია, „ლაციოში“ აუცილებლად ავიყვანთ. ჯუზეპეს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

პატარკა ალესანდროს თავიდანვე ცენტრალურ მცველად ათამაშებდა, ძალიან მოსწონდა, შეუყვარდა, შეეჩვია და მოფერებით კიდი (პატარა) შეარქვა. ახლა უკვე 24 წლის „პატარა“ ალესანდრო ნესტას ეს სახელი დღემდე შერჩა.

1993 წლის ზაფხულიდან ნესტა უკვე პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა. მისი პირველი მწვრთნელიც, არც მეტი, არც ნაკლები, თვით სახელგანთქმული მეკარე დინო ძოფი იყო.

1994 წლის 13 მარტს, ექვსი დღით ადრე, სანამ ალესანდრო 18 წლის შესრულდებოდა, სერია A-ში ნესტას დებიუტი შედგა. „უდინეზესთან“ თამაშის წინ დინო ძოფმა იგი 16-კაციან განაცხადში შეიყვანა. შეხვედრის დასრულებამდე 13 წუთით ადრე ძოფმა ნესტა პიერლუიჯი კაზირაგის ნაცვლად შეუშვა მინდორზე და ეს დრო სავსებით საკმარისი გამოდგა ნესტას ნიჭში დასარწმუნებლად. ძოფი ახლაც ამბობს: „ალესანდროს პირველი მატჩი დღემდე მახსოვს, იმდენად ჩინებული დებიუტი ჰქონდა“. მან თითქმის მაშინვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება, ჩეზარე მალდინიმ ნესტა იტალიის 21-წლამდელთა ნაკრებში მიიწვია და პირველი ტიტულიც მაშინ მოიგო, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა. რაღა რჩებოდა — ყველასთვის საოცნებო „სკუადრა აძურა“. ეს დროც დადგა. ინგლისში ევრო 96-ზე არიგო საკი მას წაყვანასაც არ უპირებდა, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე ჩირო ფერარა დაშავდა. გამოთავისუფლებული ადგილი ნესტას დარჩა. თუმცა საკის იგი არ უთამაშებია. მისი დებიუტი „ცისფრებში“ მოგვიანებით, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, მოლდოვასთან გასვლითი მატჩისას შედგა.

სახელი რომ გაითქვა, ტელემაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმ „მილანში“ გადასვლა შესთავაზა, ფრანკო ბარეზის შემცვლელად მინდიხარო, მაგრამ ნესტამ და „ლაციომ“ ბერლუსკონი ცივი უარით გაისტუმრეს.

ნესტას სულ სამად სამი გოლი აქვს კარიერაში გატანილი. პირველი კი 1997 წლის 16 სექტემბერს, პორტუგალიურ „ვიტორია გიმარაეშს“ შეუგდო.

ნესტამ თავის პირველ ჯილდოს, ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონობას, ტიტულები ტყვიასავით მიაყარა — თასების თასი და ევროპის სუპერთასი, იტალიის ჩემპიონობა და თასი, ევროპის ვიცე-ჩემპიონობა და „ლაციოს“ კაპიტნობა. ერთხელაც, „ლაციოს“ შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ფეხბურთელები ბაზაზე შეკრიბა და ჰკითხა, კაპიტნად ვის აირჩევდითო. თანაგუნდელებმაც ერთსულოვნად ნესტა დაასახელეს.

ალესანდრო ნესტა რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური მცველია, ეს ბელგია — ჰოლანდიის მინდვრებზე ახლახან დასრულებულმა ევროპის ჩემპიონატმაც ნათლად დაგვანახვა. ნესტა თავისი ბრწყინვალებით განსაკუთრებით ჰოლანდიელებთან ნახევარფინალისას გამოირჩა. გაუვალი იყო „სკუადრა აძურას“ დაცვა — ნესტა, მალდინი, კანავარო...

ალესანდრო ნესტას არც სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის აკლია თაყვანისმცემლები. 1998-99 წლების სერია A-ს სეზონის გამოკითხვისას ალესანდრო ნესტა იბრაჰიმ ბასა (რატომღაც პირველი გახლდათ) და გაბრიელ ბატისტუტას შემდეგ მესამე საოცნებო მამაკაცად აღიარეს აპენინებზე.

...ამბობენ, 13 თარსი რიცხვიაო და ეს ალბათ ასეცაა, მაგრამ რატომაა 13 კიდის საყვარელი ციფრი?

1985 წლის 13 ივლისს „ლაციოს“ ბავშვთა გუნდში ჩარიცხეს. 1994 წლის 13 მარტს „უდინეზესთან“ მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე დინო ძოფის გადაწყვეტილებით სერია A-ში დებიუტი ჰქონდა. „ლაციოში“ 13 ნომერი მაისურა აცვია და „სკუადრა აძურაშიც“. ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ, რატომაა 13 კიდის საყვარელი რიცხვი.

**გიორგი ვაშაკიძე**

**ალესანდრო ნესტა**
*იტალია*
*დაიბადა: 1976 წლის 19 მარტს რომში (იტალია)*
*კლუბი: ლაციო (იტალია)*
*ამპლუა: მცველი*
*სიმაღლე: 187 სმ*
*წონა: 79 კგ*
*კარიერა: ლაციო (იტალია)*
*იტალიის ნაკრებში: 29 მატჩი, 0 გოლი*



# კოსმოპოლიტური მიმოხილვა



სერ ჯო კრანიოტი

— აუ! — ამოიოხრა სერჯო კრანიოტიმ, ორი დიდი ჩანთა კიბის პირას დადო, ცელოფნის პარკი რალაცნაირად მარცხენა ხელში გადაიტანა და ძალიან უხერხული მოძრაობით ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოიღო. შემდეგ ცოტა წაბარბაცდა, მაგრამ გასწორდა. უამრავი გასაღებიდან ბინისა გამოარჩია. შუბლზე ოფლის წვეთები უკვე მდინარეებს კრავდნენ თავის დელტებით. სინიორ კრანიოტი წინ გადაიხარა, გასაღები კლიტისთვის რომ მოერგო (ვერაფრით მოიფიქრა ცელოფნის პარკის ჩანთასთან მიდება), მაგრამ ამ დროს კლიტე შიგნიდან გაჩხაკუნდა. კარი მეუღლემ გაუღო.

— დაგინახე და...

— უჰ! — ერთხელაც ამოიგმინა დონ სერჯომ — რა ცხელა! საშინელებაა ივლისი რომში.

კვლავ ჩანთებისკენ მიბრუნდა (პარკი ცოლმა გამოართვა) დაიხარა და ისის იყო რის ვაი ვაგლახით აწია, რომ ჯიბეში ტელეფონი აწკრიალდა.

— უჰ! — დონ სერჯომ ხორაგის ბინაში შეტანა კი მოასწრო, მაგრამ შესასვლელშივე მოუხდა დაყრა. შემდეგ ცალი ხელით ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო, მეორეთი კი, კვლავ საშინლად მოუქნელი მოძრაობით, კარი მიაჯახუნა.

— პრონტო!

— რა ხმა გაქვს, ბიჭო. სა ხარ? ვუკოლი ვარ, „არმაზი ჩვენს წელთაღრიცხვამდეს IV საუკუნის“ პრეზიდენტი. გახსოვთ „პროკურორებში“ რომ გაქეიფეთ?

— სად ვიქნებოდი, ბაზარში. დედა, რა ცხელა.

— კვირასაც არ ისვენებ?

— ჩემი დასვენება ხო იცი, არ არსებობს.

— ქე მაინც იყიდე რამე?

— კი, ვიყიდე, მაგრამ გავწვალდი. უჰ! — კრანიოტიმ ახლა ტელეფონი გადაიტანა ხელიდან ხელში აქეთა ჯიბიდან ცხვირსახოცი რომ ამოეღო და შუბლზე მოესვა.

— ვინ იყიდე, მითხარი, რა.

— კრესპო.

— ბიჭოს! მალადეც! რა მიეცი?

— ნუ მკითხავ.

— მაინც?

— ერთი კონსეისარ, ერთი ალმეიდა და ჩვიდმეტიც მილიონი.

— აუ!

— რა იყო, ცხელა?

— არა, მე კი სკვაზნიაკში ვზივარ, მარა... კიდე?

— კიდე ზენდენი შევახვევინე, შემინახე, მეთქი. წამოვიღებდი, ხო იცი მაგისგან კარგი ოსტრი გამოდის, მაგრამ არც მე მქონდა ჩანთაში ადგილი და იმის უფროსიც სადღაც საგადასახადოში იყო თუ რაღაცა.

— ბიჭო, ისე ნუ გამიგებ, მარა ეს კრესპო ღირს მაგდენი?

— შენც ისე ნუ გამიგებ და მაქვს ეს ოხერი ფული და რა ვუყო. თან ხო ხედავ, ინფლაციაა. ადრე ერთ მარადონას ხუთად იშოვიდი, დღეს მიდი, აბა, ჯანიკედას ფასი ნახე. წახდა ცხოვრება.

— აბა, აბა... მაგის დედა ვატირე

— შენ რას შვრები? მომენატრა თქვენთან ჩამოსვლა — დონ სერჯომ მოიფიქრა და ხელების დაუხმარებლად ფეხსაცმელები გაიხადა.

— რა ვიცი, ვარ რა. ჰო მართლა, სერჯო, სამი ათასი დოლარი არა გაქვს? ხუთშაბათამდე მასესხე, რა

— დღეს გინდა?

— ხვალ იყოს, ოღონდ დილით.

— კარგი, გადმოგირიცხავ. შენი რეკვიზიტები შემახსენე.

— არა, არა. ჩემი ქვისლია ახლა იტალიაში, ხვალ მოფრინავს და იმას გამოატანე. შემოგირბენს საღამოს.

— კარგი, ოღონდ რვის თორმეტ წუთზე მოვიდეს. მანამდე და მერე არ მცალია. ჩაო.

— ჩაო.

ვუკოლ დგებუაძემ ხელები მოიფშვნიტა: „ესეც ასე, სამი ათასი ვიშოვე. ახლა ჩაიბულლაშვილსაც გავუსტუმრებ ვალს და გარაჟსაც დავამთავრებ. ბიჭების ხელფასები მოიცდის, არა უშავს“.

სერჯო კრანიოტის ერთი წუთის წინანდელი საუბარი აღარც ახსოვდა. ჩანთები სამზარეულოში გაიტანა და სააბაზანოში შევარდა.

**ბაბუნა ქედია**

**სოციოლოგიური კვლევის სამსახურის, „მახათის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად საქართველოს ყველა მოქალაქე მზადაა ხელისუფლებაში სამუშაოდ, რადგან, როგორც გაირკვა, ასდოლარიანების თვლა მოსახლეობის ასივე პროცენტმა იცის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გერმანია. ბუნდესლიგა. 2000-2001 კალენდარი

**I ტური, 11 აგვისტო 2000**

ბაიერნი — ჰერთა
ლაუტერნი — ბოხუმი
ლევერკუზენი — ვოლფსბურგი
ფრაიბურგი — შტუტგარტი
აინტრახტი — უნტერჰახინგი
შალკე — კიოლნი
დორტმუნდი — ჰანზა
ვერდერი — კოტბუსი
ჰამბურგი — მიუნხენი

**II ტური, 18 აგვისტო**

მიუნხენი — ვერდერი
ჰანზა — შალკე
კიოლნი — აინტრახტი
უნტერჰახინგი — ფრაიბურგი
შტუტგარტი — ლევერკუზენი
ვოლფსბურგი — ლაუტერნი
ბოხუმი — ბაიერნი
ჰერთა — ჰამბურგი
კოტბუსი — დორტმუნდი

**III ტური, 5 სექტემბერი**

ბაიერნი — ვოლფსბურგი
ლაუტერნი — შტუტგარტი
ლევერკუზენი — უნტერჰახინგი
ფრაიბურგი — კიოლნი
აინტრახტი — ჰანზა
შალკე — კოტბუსი
დორტმუნდი — მიუნხენი
ჰერთა — ბოხუმი
ჰამბურგი — ვერდერი

**IV ტური, 8 სექტემბერი**

მიუნხენი — შალკე
ჰანზა — ფრაიბურგი
კიოლნი — ლევერკუზენი
უნტერჰახინგი — ლაუტერნი
შტუტგარტი — ბაიერნი
ვოლფსბურგი — ჰერთა
ბოხუმი — ჰამბურგი
ვერდერი — დორტმუნდი
კოტბუსი — აინტრახტი

**V ტური, 15 სექტემბერი**

ბაიერნი — უნტერჰახინგი
ლაუტერნი — კიოლნი
ლევერკუზენი — ჰანზა
ფრაიბურგი — კოტბუსი
აინტრახტი — მიუნხენი
შალკე — ვერდერი
ბოხუმი — ვოლფსბურგი
ჰერთა — შტუტგარტი
ჰამბურგი — დორტმუნდი

**VI ტური, 22 სექტემბერი**

მიუნხენი — ფრაიბურგი
ჰანზა — ლაუტერნი
კიოლნი — ბაიერნი
უნტერჰახინგი — ჰერთა
შტუტგარტი — ბოხუმი
ვოლფსბურგი — ჰამბურგი
დორტმუნდი — შალკე
ვერდერი — აინტრახტი
კოტბუსი — ლევერკუზენი

**VII ტური, 29 სექტემბერი**

ბაიერნი — ჰანზა
ლაუტერნი — კოტბუსი
ლევერკუზენი — მიუნხენი
ფრაიბურგი — ვერდერი
აინტრახტი — დორტმუნდი
ვოლფსბურგი — შტუტგარტი
ბოხუმი — უნტერჰახინგი
ჰერთა — კიოლნი
ჰამბურგი — შალკე

**VIII ტური, 13 ოქტომბერი**

მიუნხენი — ლაუტერნი
ჰანზა — ჰერთა
კიოლნი — ბოხუმი
უნტერჰახინგი — ვოლფსბურგი
შტუტგარტი — ჰამბურგი
შალკე — აინტრახტი
დორტმუნდი — ფრაიბურგი
ვერდერი — ლევერკუზენი
კოტბუსი — ბაიერნი

**IX ტური, 20 ოქტომბერი**

ბაიერნი — მიუნხენი
ლაუტერნი — ვერდერი
ლევერკუზენი — დორტმუნდი
ფრაიბურგი — შალკე
შტუტგარტი — უნტერჰახინგი
ვოლფსბურგი — კიოლნი
ბოხუმი — ჰანზა
ჰერთა — კოტბუსი
ჰამბურგი — აინტრახტი

**X ტური, 27 ოქტომბერი**

მიუნხენი — ჰერთა
ჰანზა — ვოლფსბურგი
კიოლნი — შტუტგარტი
უნტერჰახინგი — ჰამბურგი
აინტრახტი — ფრაიბურგი
შალკე — ლევერკუზენი
დორტმუნდი — ლაუტერნი
ვერდერი — ბაიერნი
კოტბუსი — ბოხუმი

**XI ტური, 3 ნოემბერი**

ბაიერნი — დორტმუნდი
ლაუტერნი — შალკე
ლევერკუზენი — აინტრახტი
უნტერჰახინგი — კიოლნი
შტუტგარტი — ჰანზა
ვოლფსბურგი — კოტბუსი
ჰერთა — ვერდერი
ჰამბურგი — ფრაიბურგი
ბოხუმი — მიუნხენი

**XII ტური, 10 ნოემბერი**

მიუნხენი — ვოლფსბურგი
ჰანზა — უნტერჰახინგი
კიოლნი — ჰამბურგი
აინტრახტი — ლაუტერნი
შალკე — ბაიერნი
დორტმუნდი — ჰერთა
ვერდერი — ბოხუმი
კოტბუსი — შტუტგარტი
ფრაიბურგი — ლევერკუზენი

**XIII ტური, 17 ნოემბერი**

ბაიერნი — აინტრახტი
ლაუტერნი — ფრაიბურგი
კიოლნი — ჰანზა
უნტერჰახინგი — კოტბუსი
შტუტგარტი — მიუნხენი
ვოლფსბურგი — ვერდერი
ბოხუმი — დორტმუნდი
ჰერთა — შალკე
ჰამბურგი — ლევერკუზენი

**XIV ტური, 24 ნოემბერი**

მიუნხენი — უნტერჰახინგი
ჰანზა — ჰამბურგი
ლევერკუზენი — ლაუტერნი
ფრაიბურგი — ბაიერნი
შალკე — ბოხუმი
დორტმუნდი — ვოლფსბურგი
ვერდერი — შტუტგარტი
კოტბუსი — კიოლნი
აინტრახტი — ჰერთა

**XV ტური, 1 დეკემბერი**

ბაიერნი — ლევერკუზენი
ლაუტერნი — ჰამბურგი
კიოლნი — მიუნხენი
უნტერჰახინგი — ვერდერი
შტუტგარტი — დორტმუნდი
ვოლფსბურგი — შალკე
ბოხუმი — აინტრახტი
ჰერთა — ფრაიბურგი
კოტბუსი — ჰანზა

**XVI ტური, 8 დეკემბერი**

მიუნხენი — ჰანზა
ლაუტერნი — ბაიერნი
ლევერკუზენი — ჰერთა
ფრაიბურგი — ბოხუმი
აინტრახტი — ვოლფსბურგი
შალკე — შტუტგარტი
დორტმუნდი — უნტერჰახინგი
ვერდერი — კიოლნი
ჰამბურგი — კოტბუსი

**XVII ტური, 12 დეკემბერი**

ბაიერნი — ჰამბურგი
ჰანზა — ვერდერი
კიოლნი — დორტმუნდი
უნტერჰახინგი — შალკე
შტუტგარტი — აინტრახტი
ვოლფსბურგი — ფრაიბურგი
ბოხუმი — ლევერკუზენი
ჰერთა — ლაუტერნი
კოტბუსი — მიუნხენი

**XVII ტური, 15 დეკემბერი**

ჰერთა — ბაიერნი
ბოხუმი — ლაუტერნი
ვოლფსბურგი — ლევერკუზენი
შტუტგარტი — ფრაიბურგი
უნტერჰახინგი — აინტრახტი
კიოლნი — შალკე
ჰანზა — დორტმუნდი
კოტბუსი — ვერდერი
მიუნხენი — ჰამბურგი

**XIX ტური, 26 იანვარი**

ვერდერი — მიუნხენი
შალკე — ჰანზა
აინტრახტი — კიოლნი
ფრაიბურგი — უნტერჰახინგი
ლევერკუზენი — შტუტგარტი
ლაუტერნი — ვოლფსბურგი
ბაიერნი — ბოხუმი
ჰამბურგი — ჰერთა
დორტმუნდი — კოტბუსი

**XX ტური, 2 თებერვალი**

ვოლფსბურგი — ბაიერნი
შტუტგარტი — ლაუტერნი
უნტერჰახინგი — ლევერკუზენი
კიოლნი — ფრაიბურგი
ჰანზა — აინტრახტი
კოტბუსი — შალკე
მიუნხენი — დორტმუნდი
ბოხუმი — ჰერთა
ვერდერი — ჰამბურგი

**XXI ტური, 9 თებერვალი**

შალკე — მიუნხენი
ფრაიბურგი — ჰანზა
ლევერკუზენი — კიოლნი
ლაუტერნი — უნტერჰახინგი
ბაიერნი — შტუტგარტი
ჰერთა — ვოლფსბურგი
ჰამბურგი — ბოხუმი
დორტმუნდი — ვერდერი
აინტრახტი — კოტბუსი

**XXII ტური, 16 თებერვალი**

უნტერჰახინგი — ბაიერნი
კიოლნი — ლაუტერნი
ჰანზა — ლევერკუზენი
კოტბუსი — ფრაიბურგი
მიუნხენი — აინტრახტი
ვერდერი — შალკე
ვოლფსბურგი — ბოხუმი
შტუტგარტი — ჰერთა
დორტმუნდი — ჰამბურგი

**XXIII ტური, 23 თებერვალი**

ფრაიბურგი — მიუნხენი
ლაუტერნი — ჰანზა
ბაიერნი — კიოლნი
ჰერთა — უნტერჰახინგი
ბოხუმი — შტუტგარტი
ჰამბურგი — ვოლფსბურგი
შალკე — დორტმუნდი
აინტრახტი — ვერდერი
ლევერკუზენი — კოტბუსი

**XXIV ტური, 2 მარტი**

ჰანზა — ბაიერნი
კოტბუსი — ლაუტერნი
მიუნხენი — ლევერკუზენი
ვერდერი — ფრაიბურგი
დორტმუნდი — აინტრახტი
შტუტგარტი — ვოლფსბურგი
უნტერჰახინგი — ბოხუმი
კიოლნი — ჰერთა
შალკე — ჰამბურგი

**XXV ტური, 9 მარტი**

ლაუტერნი — მიუნხენი
ჰერთა — ჰანზა
ბოხუმი — კიოლნი
ვოლფსბურგი — უნტერჰახინგი
ჰამბურგი — შტუტგარტი
აინტრახტი — შალკე
ფრაიბურგი — დორტმუნდი
ლევერკუზენი — ვერდერი
ბაიერნი — კოტბუსი

**XXVI ტური, 16 მარტი**

მიუნხენი — ბაიერნი
ვერდერი — ლაუტერნი
დორტმუნდი — ლევერკუზენი
შალკე — ფრაიბურგი
უნტერჰახინგი — შტუტგარტი
კიოლნი — ვოლფსბურგი
ჰანზა — ბოხუმი
კოტბუსი — ჰერთა
აინტრახტი — ჰამბურგი

**XXVII ტური, 30 მარტი**

ჰერთა — მიუნხენი
ვოლფსბურგი — ჰანზა
შტუტგარტი — კიოლნი
ჰამბურგი — უნტერჰახინგი
ფრაიბურგი — აინტრახტი
ლევერკუზენი — შალკე
ლაუტერნი — დორტმუნდი
ბაიერნი — ვერდერი
ბოხუმი — კოტბუსი

**XXVIII ტური, 6 აპრილი**

დორტმუნდი — ბაიერნი
შალკე — ლაუტერნი
აინტრახტი — ლევერკუზენი
კიოლნი — უნტერჰახინგი
ჰანზა — შტუტგარტი
კოტბუსი — ვოლფსბურგი
ვერდერი — ჰერთა
ფრაიბურგი — ჰამბურგი
მიუნხენი — ბოხუმი

**XXIX ტური, 3 აპრილი**

ვოლფსბურგი — მიუნხენი
უნტერჰახინგი — ჰანზა
ჰამბურგი — კიოლნი
ლაუტერნი — აინტრახტი
ბაიერნი — შალკე
ჰერთა — დორტმუნდი
ბოხუმი — ვერდერი
შტუტგარტი — კოტბუსი
ლევერკუზენი — ფრაიბურგი

**XXX ტური, 20 აპრილი**

აინტრახტი — ბაიერნი
ფრაიბურგი — ლაუტერნი
ჰანზა — კიოლნი
კოტბუსი — უნტერჰახინგი
მიუნხენი — შტუტგარტი
ვერდერი — ვოლფსბურგი
დორტმუნდი — ბოხუმი
შალკე — ჰერთა
ლევერკუზენი — ჰამბურგი

**XXXI ტური, 27 აპრილი**

უნტერჰახინგი — მიუნხენი
ჰამბურგი — ჰანზა
ლაუტერნი — ლევერკუზენი
ბაიერნი — ფრაიბურგი
ბოხუმი — შალკე
ვოლფსბურგი — დორტმუნდი
შტუტგარტი — ვერდერი
კიოლნი — კოტბუსი
ჰერთა — აინტრახტი

**XXXII ტური, 4 მაისი**

ლევერკუზენი — ბაიერნი
ჰამბურგი — ლაუტერნი
მიუნხენი — კიოლნი
ვერდერი — უნტერჰახინგი
დორტმუნდი — შტუტგარტი
შალკე — ვოლფსბურგი
აინტრახტი — ბოხუმი
ფრაიბურგი — ჰერთა
ჰანზა — კოტბუსი

**XXXIII ტური, 12 მაისი**

ჰანზა — მიუნხენი
ბაიერნი — ლაუტერნი
ჰერთა — ლევერკუზენი
ბოხუმი — ფრაიბურგი
ვოლფსბურგი — აინტრახტი
შტუტგარტი — შალკე
უნტერჰახინგი — დორტმუნდი
კიოლნი — ვერდერი
კოტბუსი — ჰამბურგი

**XXXIV ტური, 19 მაისი**

ჰამბურგი — ბაიერნი
ვერდერი — ჰანზა
დორტმუნდი — კიოლნი
შალკე — უნტერჰახინგი
აინტრახტი — შტუტგარტი
ფრაიბურგი — ვოლფსბურგი
ლევერკუზენი — ბოხუმი
ლაუტერნი — ჰერთა
მიუნხენი — კოტბუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოლანდია. 2000-2001 კალენდარი

18 აგვისტო 2000
სპარტა — როდა
19 აგვისტო
გრააფსხაპი — პსვ
ბრედა — ვალვაიკი
20 აგვისტო
ვიტესი — ტვენტე
უტრეხტი — ჰერენვენი
ფეიენოორდი — ალკმარი
როზენდალი — ნაიმეგენი
გრონინგენი — ტილბურგი

22 აგვისტო
აიაქსი — სიტარდი
23 აგვისტო
გრონინგენი — ნაიმეგენი

26 აგვისტო
ბრედა — გრონინგენი
გრააფსხაპი — როდა
ტილბურგი — ვალვაიკი
ალკმარი — როზენდალი
სიტარდი — ჰერენვენი
27 აგვისტო
ტვენტე — ფეიენოორდი
უტრეხტი — პსვ
ნაიმეგენი — ვიტესი
სპარტა — აიაქსი

28 აგვისტო
სიტარდი — ჰერენვენი
30 აგვისტო
როზენდალი — ბრედა
3 სექტემბერი
ვალვაიკი — როზენდალი
5 სექტემბერი
პსვ — ტილბურგი
6 სექტემბერი
ვიტესი — სპარტა
გრონინგენი — გრააფსხაპი
ტვენტე — ჰერენვენი
ვალვაიკი — ალკმარი
ბრედა — როდა
აიაქსი — ნაიმეგენი

8 სექტემბერი
სიტარდი — პსვ
9 სექტემბერი
ტილბურგი — ვიტესი
გრააფსხაპი — ალკმარი
ფეიენოორდი — ვალვაიკი
ჰერენვენი — ბრედა
როდა — ტვენტე
10 სექტემბერი
სპარტა — როზენდალი
ნაიმეგენი — უტრეხტი
აიაქსი — გრონინგენი

16 სექტემბერი
ბრედა — გრააფსხაპი
პსვ — სპარტა
17 სექტემბერი
ალკმარი — აიაქსი
როზენდალი — გრონინგენი
ვიტესი — ვალვაიკი
ნაიმეგენი — სიტარდი
უტრეხტი — ტვენტე

22 სექტემბერი
აიაქსი — როზენდალი
23 სექტემბერი
სიტარდი — ვიტესი
24 სექტემბერი
გრონინგენი — უტრეხტი
ბრედა — ტილბურგი
ვალვაიკი — ნაიმეგენი
ტვენტე — გრააფსხაპი

30 სექტემბერი
ტვენტე — სიტარდი
1 ოქტომბერი
როდა — ალკმარი
სპარტა — ტილბურგი
გრონინგენი — პსვ
გრააფსხაპი — ფეიენოორდი
ვიტესი — უტრეხტი
2 ოქტომბერი
ჰერენვენი — აიაქსი

13 ოქტომბერი
ალკმარი — ბრედა
14 ოქტომბერი
პსვ — ნაიმეგენი
ტილბურგი — უტრეხტი
როდა — გრონინგენი
ჰერენვენი — ვალვაიკი
15 ოქტომბერი
ვიტესი — აიაქსი
როზენდალი — გრააფსხაპი
ფეიენოორდი — სპარტა

20 ოქტომბერი
აიაქსი — როდა
21 ოქტომბერი
ფეიენოორდი — ჰერენვენი
გრააფსხაპი — ტილბურგი
ტვენტე — სპარტა
22 ოქტომბერი
ალკმარი — ვიტესი
გრონინგენი — სიტარდი
უტრეხტი — როზენდალი
ვალვაიკი — პსვ

27 ოქტომბერი
სიტარდი — ბრედა
ალკმარი — ტვენტე
28 ოქტომბერი
ჰერენვენი — გრააფსხაპი
29 ოქტომბერი
პსვ — აიაქსი
ნაიმეგენი — ტილბურგი
როდა — ვალვაიკი
სპარტა — გრონინგენი
უტრეხტი — ფეიენოორდი

1 ნოემბერი
ვალვაიკი — უტრეხტი
პსვ — ვიტესი
როდა — სიტარდი
ჰერენვენი — სპარტა
ნაიმეგენი — გრააფსხაპი
2 ნოემბერი
ფეიენოორდი — როზენდალი

4 ნოემბერი
ტვენტე — პსვ
ბრედა — ნაიმეგენი
5 ნოემბერი
ტილბურგი — აიაქსი
ფეიენოორდი — როდა
გრონინგენი — ალკმარი
გრააფსხაპი — ვიტესი
როზენდალი — სიტარდი
უტრეხტი — სპარტა

10 ნოემბერი
როზენდალი — ტილბურგი
11 ნოემბერი
სიტარდი — ვალვაიკი
12 ნოემბერი
სპარტა — ნაიმეგენი
აიაქსი — გრააფსხაპი
ვიტესი — გრონინგენი
როდა — ჰერენვენი
პსვ — ფეიენოორდი
ტვენტე — ბრედა
ალკმარი — უტრეხტი

17 ნოემბერი
როდა — უტრეხტი
18 ნოემბერი
ტილბურგი — ტვენტე
ჰერენვენი — პსვ
ვიტესი — როზენდალი
სიტარდი — ალკმარი
19 ნოემბერი
ნაიმეგენი — ფეიენოორდი
ბრედა — აიაქსი
ვალვაიკი — გრააფსხაპი

25 ნოემბერი
როზენდალი — როდა
ალკმარი — სპარტა
გრააფსხაპი — სიტარდი
26 ნოემბერი
უტრეხტი — აიაქსი
ნაიმეგენი — ჰერენვენი
ფეიენოორდი — ტილბურგი
ტვენტე — გრონინგენი
პსვ — ბრედა

28 ნოემბერი
როდა — ვიტესი
29 ნოემბერი
სპარტა — ფეიენოორდი
ჰერენვენი — ალკმარი
ბრედა — როზენდალი
30 ნოემბერი
აიაქსი — ვალვაიკი
1 დეკემბერი
როდა — პსვ
2 დეკემბერი
ტილბურგი — ალკმარი
სიტარდი — უტრეხტი

3 დეკემბერი
ნაიმეგენი — ტვენტე
ფეიენოორდი — ბრედა
ვალვაიკი — გრონინგენი
სპარტა — გრააფსხაპი
აიაქსი — ჰერენვენი

8 დეკემბერი
ვალვაიკი — ტვენტე
9 დეკემბერი
როდა — ტილბურგი
ალკმარი — ნაიმეგენი
გრააფსხაპი — გრონინგენი
სიტარდი — სპარტა
პსვ — როზენდალი
10 დეკემბერი
ფეიენოორდი — აიაქსი
ვიტესი — ჰერენვენი
უტრეხტი — ბრედა

12 დეკემბერი
ტვენტე — როდა
13 დეკემბერი
სიტარდი — ფეიენოორდი
ჰერენვენი — ტილბურგი
ვიტესი — ალკმარი
სპარტა — ბრედა
16 დეკემბერი
ბრედა — ვიტესი
ტილბურგი — სიტარდი

17 დეკემბერი
ვალვაიკი — სპარტა
როზენდალი — ჰერენვენი
ნაიმეგენი — როდა
გრონინგენი — ფეიენოორდი
გრააფსხაპი — უტრეხტი
ალკმარი — პსვ
აიაქსი — ტვენტე

20 დეკემბერი
უტრეხტი — ვალვაიკი
ტილბურგი — ნაიმეგენი
ფეიენოორდი — ვიტესი
21 დეკემბერი
პსვ — სიტარდი
გრონინგენი — ჰერენვენი
როზენდალი — ტვენტე

31 იანვარი 2001
ნაიმეგენი — როზენდალი
ვიტესი — ბრედა
პსვ — გრონინგენი
ჰერენვენი — ფეიენოორდი
სიტარდი — როდა
ტილბურგი — სპარტა
1 თებერვალი
გრააფსხაპი — აიაქსი

3 თებერვალი
ჰერენვენი — უტრეხტი
როდა — ბრედა
როზენდალი — ვალვაიკი
4 თებერვალი
გრონინგენი — აიაქსი
ტვენტე — ტილბურგი
ალკმარი — ფეიენოორდი
ვიტესი — ნაიმეგენი
სპარტა — პსვ
სიტარდი — გრააფსხაპი

9 თებერვალი
გრააფსხაპი — ჰერენვენი
10 თებერვალი
როდა — როზენდალი
ბრედა — ტვენტე
პსვ — ალკმარი
11 თებერვალი
აიაქსი — ტილბურგი
უტრეხტი — ნაიმეგენი
ფეიენოორდი — გრონინგენი
ვალვაიკი — ვიტესი

16 თებერვალი
სიტარდი — აიაქსი
17 თებერვალი
როზენდალი — ალკმარი
ბრედა — პსვ
18 თებერვალი
გრონინგენი — ტვენტე
უტრეხტი — გრააფსხაპი
სპარტა — ვალვაიკი

23 თებერვალი
ნაიმეგენი — სპარტა
ტილბურგი — ჰერენვენი
24 თებერვალი
ვალვაიკი — სიტარდი
ალკმარი — როდა
ტვენტე — ვიტესი
25 თებერვალი
ფეიენოორდი — პსვ
გრონინგენი — ბრედა
აიაქსი — უტრეხტი

2 მარტი
ჰერენვენი — გრონინგენი
ვალვაიკი — ბრედა
3 მარტი
ტილბურგი — გრააფსხაპი
პსვ — როდა
4 მარტი
როზენდალი — აიაქსი
სპარტა — ტვენტე
უტრეხტი — სიტარდი
ვიტესი — ფეიენოორდი
ნაიმეგენი — ალკმარი

9 მარტი
ჰერენვენი — როდა
10 მარტი
სიტარდი — როზენდალი
ტვენტე — ნაიმეგენი
გრააფსხაპი — სპარტა
ალკმარი — ვალვაიკი
11 მარტი
ტილბურგი — ფეიენოორდი
უტრეხტი — ვიტესი

16 მარტი
როზენდალი — ვიტესი
17 მარტი
როდა — გრააფსხაპი
ბრედა — ჰერენვენი
ალკმარი — სიტარდი
18 მარტი
ფეიენოორდი — ტვენტე
პსვ — უტრეხტი
აიაქსი — სპარტა
ვალვაიკი — ტილბურგი
ნაიმეგენი — გრონინგენი

31 მარტი
ტილბურგი — როდა
ჰერენვენი — როზენდალი
პსვ — ტვენტე
ალკმარი — გრააფსხაპი
ბრედა — სიტარდი
1 აპრილი
სპარტა — უტრეხტი
ნაიმეგენი — აიაქსი
ვალვაიკი — ფეიენოორდი
გრონინგენი — ვიტესი

6 აპრილი
უტრეხტი — ალკმარი
7 აპრილი
გრააფსხაპი — როზენდალი
ტვენტე — ვალვაიკი
ჰერენვენი — ნაიმეგენი
ვიტესი — ტილბურგი
8 აპრილი
აიაქსი — პსვ
ბრედა — ფეიენოორდი
სპარტა — სიტარდი
გრონინგენი — როდა

14 აპრილი
ვალვაიკი — ჰერენვენი
როზენდალი — სპარტა
ალკმარი — გრონინგენი
ფეიენოორდი — გრააფსხაპი
სიტარდი — ნაიმეგენი
15 აპრილი
ვიტესი — პსვ
ტვენტე — უტრეხტი
16 აპრილი
ტილბურგი — ბრედა
როდა — აიაქსი

20 აპრილი
პსვ — ვალვაიკი
21 აპრილი
როდა — სპარტა
ჰერენვენი — სიტარდი
ბრედა — ალკმარი
22 აპრილი
უტრეხტი — ტილბურგი
აიაქსი — ვიტესი
გრააფსხაპი — ტვენტე
ფეიენოორდი — ნაიმეგენი
გრონინგენი — როზენდალი

27 აპრილი
აიაქსი — ბრედა
28 აპრილი
ტილბურგი — პსვ
ვიტესი — გრააფსხაპი
ტვენტე — ალკმარი
სიტარდი — გრონინგენი
29 აპრილი
ნაიმეგენი — ვალვაიკი
სპარტა — ჰერენვენი
როზენდალი — უტრეხტი
როდა — ფეიენოორდი

3 მაისი
ვალვაიკი — აიაქსი
5 მაისი
ალკმარი — ტილბურგი
ტვენტე — როზენდალი
პსვ — ჰერენვენი
ვიტესი — როდა
6 მაისი
გრონინგენი — სპარტა
გრააფსხაპი — ნაიმეგენი
ფეიენოორდი — სიტარდი
ბრედა — უტრეხტი

11 მაისი
როზენდალი — პსვ
12 მაისი
ტილბურგი — გრონინგენი
ჰერენვენი — ვიტესი
გრააფსხაპი — ვალვაიკი
სიტარდი — ტვენტე
13 მაისი
უტრეხტი — როდა
ნაიმეგენი — ბრედა
სპარტა — ალკმარი
აიაქსი — ფეიენოორდი

20 მაისი
ალკმარი — ჰერენვენი
გრონინგენი — ვალვაიკი
ტვენტე — აიაქსი
ფეიენოორდი — უტრეხტი
ბრედა — სპარტა
პსვ — გრააფსხაპი
როდა — ნაიმეგენი
ვიტესი — სიტარდი
ტილბურგი — როზენდალი

27 მაისი
ჰერენვენი — ტვენტე
სიტარდი — ტილბურგი
უტრეხტი — გრონინგენი
გრააფსხაპი — ბრედა
აიაქსი — ალკმარი
როზენდალი — ფეიენოორდი
ნაიმეგენი — პსვ
ვალვაიკი — როდა
სპარტა — ვიტესი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ავსტრია

15 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ადმირა-შტურმი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

შვეიცარია. 1-ლი ტური

15 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | გრასჰოპერი-ლოზანა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 003 | ბაზელი-სიონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 004 | სერვეტი-არაუ | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 005 | ლუგანო-სენტ გალენი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 006 | ივერდონი-ციურიხი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

რუსეთი. მე-17 ტური

15 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | ცსკა-კრილია | 1,6 | 2,9 | 5,6 |
| 010 | ურალანი-ფაკელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 011 | ალანია-როტორი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 012 | ჩერნომორეცი-სატურნი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| | 16 ივლისი | | | |
| 013 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 3,0 | 2,9 | 2,3 |

შვედეთი. მე-11 ტური

16 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | გიოტებორგი-ფრიოლუნდა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 17 ივლისი | | | |
| 015 | გაის-ელფსბორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 016 | სუნდსვალი-ჰალმსტადი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 017 | იორებრო-ჰაკენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

ნორვეგია. მე-14 ტური

16 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 018 | ბოდიო გლიმტი-ჰაუგესუნდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 019 | ოდ გრენლანდი-მოსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 020 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 021 | სტარტი-ბრინი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 022 | ტრომსიო-ვოლერენგა | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 023 | ვიკინგი-ბრანი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | 17 ივლისი | | | |
| 024 | მოლდე-ლილესტრიომი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

15 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | პანამა-მექსიკა | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| 502 | კანადა-ტრინიდადი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 503 | სალვადორი-ჰონდურასი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 504 | სენტ ვინსენტი-იამაიკა | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| 505 | გვატემალა-აშშ | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| 506 | ბარბადოსი-კოსტა რიკა | 5,3 | 3,5 | 1,5 |

ევროპის ჩემპიონატი (18 წლამდე) (გერმანიაში)

17 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 507 | გერმანია-უკრაინა ($14^{00}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 508 | ჰოლანდია-ხორვატია ($14^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 509 | ჩეხეთი-რუსეთი ($14^{00}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 510 | საფრანგეთი-ფინეთი ($14^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |

ინტერტოტო. III ეტაპი. I მატჩები

15 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 511 | ჩაჰლაული (რუმინეთი)-აუსტრია (ავსტრია) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 512 | ბლშანი (ჩეხეთი)-კალამატა (საბერძნეთი) | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 513 | სლავენი (ხორვატია)-სიგმა (ჩეხეთი) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 514 | ზენიტი (რუსეთი)-ტატაბანია (უნგრეთი) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 515 | სედანი (საფრანგეთი)-ვოლფსბურგი (გერმანია) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 516 | სტანდარდი (ბელგია)-ზალცბურგი (ავსტრია) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 517 | ლანსი (საფრანგეთი)-შტუტგარტი (გერმანია) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 518 | სელტა (ესპანეთი)-პელისტერი (მაკედონია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 16 ივლისი | | | |
| 519 | ოლბორგი (დანია)-უდინეზე (იტალია) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 520 | ბრედფორდი (ინგლისი)-ვალვაიკი (ჰოლანდია) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 521 | დუკლა (ჩეხეთი)-ასტონ ვილა (ინგლისი) | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 522 | როსტსელმაში (რუსეთი)-ოსერი (საფრანგეთი) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

### გოგი ქათამაძე:

# ფედერაციის და ბასკოს ალიანსზე საუბარი ცილისწამებაა

## მშიერი კალათბურთიდან პრეზიდენტის იმედამდე

1997 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად გოგი ქათამაძე დაინიშნა. მან აქ ავთანდილ საყვარელიძე შეცვალა. იმ დროინდელი სურათი დაახლოებით ასეთი გახლდათ: ქართული კალათბურთი მძიმე დღეშია, საბჭოთა ბატალიებიდან გამოყოლილი ინერციით სულდგმულობს და აშკარაა, ხვალინდელი დღე გაცილებით უარესს გვიმზადებს.

2000 წლის 13 ივლისი. ზუსტად ორი წლის, ცხრა თვისა და ათი დღის თავზე გოგი ქათამაძის პირველ ინტერვიუ ფედერაციის პრეზიდენტის რანგში — ქართული კალათბურთის უმთავრესი ფიგურა „სარბიელს" ესაუბრება. ეს უკვე ის დროა, როცა ჩვენმა კალათბურთმა ყველაფერი წააგო, რისი წაგებაც შეიძლებოდა.

ათიოდ წუთი მოსაცდელში, იქიდან კი პირდაპირ ცეკავშირის თავმჯდომარის კაბინეტში. გოგი ქათამაძე ამ უწყების თავკაცი გახლავთ. ჩვენი შეხვედრის ადგილიც სწორედ მისი სამუშაო ოთახია... მოვკალათდით...

თემა იმდენად დიდია და მრავლისმომცველი, ვერც ერთსაათიანი საუბრით ამოვწურავთ და მით უფრო, ვერც ერთი საგაზეთო ინტერვიუთი — დაახლოებით ამგვარი ფრაზები გავცვალეთ და უმალ საქმეზე გადავედი. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტის მიერ ნაწყალობევ დროსაც თვალისჩინივით სჭირდება მოფრთხილება...

**— ბატონო გოგი, დღეს უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ იმაზე, რომ კალათბურთის ფედერაცია კარგად ვერ ართმევს თავს დაკისრებულ სამუშაოს.**

— ქვეყანას ნებისმიერ სფეროში, უკლებლივ ყველა დარგში უჭირს, კალათბურთი და საერთოდ ქართული სპორტი კი დღევანდელობის ნაწილია. საბჭოთა კავშირს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო სკოლა ჰქონდა, ამხელა იმპერიის დაშლამ და დანაწევრებამ კი, რა გასაკვირია, თუ ჩვენი საკალათბურთო მეურნეობაც შეარყია და მოშალა. სხვა ქვეყნების მაგალითები აიღეთ, თვით რუსეთს ვერ მოუხერხებია საკალათბურთო ელიტაში დამკვიდრება. საერთოდ გაქრა უკრაინა, ლატვია და ესტონეთი, რომლებიც, მოგეხსენებათ, ტრადიციებით არავის ჩამოუვარდებოდნენ. ასეა, ქვეყნის ფორმირებას ყოველთვის სავალალო შედეგი მოჰყვება, საქართველო მატერიალური თვალსაზრისით უმძიმეს დღეშია, საბაზრო ეკონომიკის პირობებზე გადასვლას ვცდილობთ, ასეთ დროს კი სპორტი მეცენატებზე ხდება დამოკიდებული. სპორტი ყველგან ბიზნესის წყაროდ იქცა. ჩვენთან ასე არ არის და მთელი უბედურებაც ესაა.

**— ამ ყოველივეს ერთვის კალათბურთის ფედერაციის საკმაოდ მწირი ბიუჯეტიც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გაუნაღდებელი რჩება. ასეთ დროს ფედერაციისგან სხვა, დამატებითი გზების მოძიებას მოითხოვენ...**

— ფედერაციის პრეზიდენტად დანიშვნის დღიდან გამოსავლის ძიებაში ვარ, სულ იმას ვფიქრობ, თანხები როგორ მოვიზიდო. გადავწყვიტეთ, შეგვექმნა კალათბურთის განვითარების ფონდი, მაგრამ არც ამან გაგვიმართლა, რადგან დღეს თითქმის აღარავის აინტერესებს სპორტი. არადა, ამის განხორციელება ჰაერივით სჭირდებოდა კალათბურთს, ჩვენ თვითდაფინანსებაზე გადასვლას შევძლებდით და ამა თუ იმ ტურნირისთვისაც საგანგებოდ, გეგმის მიხედვით მოვემზადებოდით. ახლა კი ლამის მათხოვრებად ვიქეცით, თითოეულ ტურნირში მონაწილეობა 40-50 ათასი ლარი გვიჯდება და ხან ვის მივადგებით-ხოლმე, ხან — ვის. ბევრჯერ პირადი ნაცნობობის წყალობით შევაგროვე ეს თანხა, არაერთხელ განათლების სამინისტროსა და თბილისის მერიასაც გაუმართავთ ხელი, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? როგორი საქმეა, მერიაში მისვლა და ამხელა თანხის თხოვნა, როცა თავადაც ძალიან უჭირთ, თვეობით პენსიები ვერ გაუციათ, ძველი თბილისი თვალსა და ხელს შუა გვენგრევა და ამისთვის ვერ გამოუნახავთ ფული.

**— იქნებ სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ და დანერგვამ შეცვალოს რაიმე სასიკეთოდ?**

— ჩვენ სხვებს არ უნდა შევედაროთ. ქართული ფენომენი ყოველმხრივ განსხვავებულია და სხვა მოდელს ვერ მოირგებს. ეს პოლიტიკასა და ეკონომიკაში გატარებულმა ნოვაციებმაც ნათლად დაგვანახვა. ამიტომ სხვათა მაგალითების დოგმატურად დანერგვა კარგს არაფერს მოგვიტანს. რამე ახალი უნდა მოვიგონოთ, მუხლჩაუხრელად უნდა ვიშრომოთ და ადრე თუ გვიან შედეგიც მოვა. ქართველები ნიჭიერები ვართ, გამოცდილებაც დაგვიგროვდა, საკალათბურთო წარსული კი მართლაც ისეთი გვქონდა, ბევრს დღე[illegible]აც შურს.

**— ბატონო გოგი, ჩემპიონატის დებულება სისტემატურად ირღვევა ჩვენში. ნუთუ იმის გაკეთებაც ძალიან ძნელია, რომ კანონი კანონობდეს და მის წინაშე ყველა თანასწორი იყოს?**

— გეთანხმებით, სამწუხაროდ, დებულების დარღვევა ხშირად გვიწევს, მაგრამ ეს უმეტესად აუცილებლობას წარმოადგენს. მუშაობაში უამრავი რამ ჯერაც დასახვეწი გვაქვს. ამიტომ თავს არც ექსპერიმენტებს ვარიდებთ და არც პასუხისმგებლობას გავურბივართ. თანასწორობას რაც შეეხება, არა მგონია, ფედერაციის გადაწყვეტილებით ვინმე გამორჩეულად დაზარალებულიყოს.

ერთიცაა, არავისთვის გვიბრძანებია და დაგვიძალებია ჩვენი სურვილისამებრ მოქცევა. დებულებაში პატარა ცვლილებაც კი კლუბებთან შეთანხმებით ხდება და ვერავინ იტყვის, საქმის კურსში არ ჩამაყენესო. ცხადია, ძალიან ცუდია კანონის დარღვევა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კონსტიტუციაში შეაქვთ შესწორებები. ყოველივეს დღევანდელი ცხოვრება გვკარნახობს.

**— მეათე ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და კლუბებმა უკვე გამოთქვეს პრეტენზიები ფედერაციის მიმართ. ახალი დებულების, პირველობის დაწყების ვადის და სხვა საკითხების ბუნდოვანობის გამო მოსამზადებელ ციკლს ვერ ვგეგმავთო, ჩივიან...**

— კლუბებს უკვე დაეგზავნათ საგანგებო კითხვარები, სადაც ვთხოვთ, თავიანთი მოსაზრებები გაგვიზიარონ გასული ჩემპიონატის დადებით და უარყოფით მხარეებზე. დაახლოებით ათ დღეში ახალი დებულებაც გვექნება და მსურველებს დაურიგდებათ. ჩემპიონატი კი სექტემბრის ბოლოს დაიწყება, მალე ზუსტ დღესაც დავთქვამთ. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემას ვერ ვხედავ.

**— ჩვენში რატომღაც ყველას შეუძლია უმაღლეს ლიგაში მონაწილეობა. საკმარისია, მსურველმა ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა ფედერაციის ანგარიშზე გადარიცხოს და წინაც ვეღარაფერი დაუდგება. როგორ ფიქრობთ, ხომ არ აჯობებს, რომ უმაღლეს ლიგაში თამაში უფრო პრესტიჟული გახდეს და ამის უფლება კლუბმა ბრძოლით მოიპოვოს? ჩემთვის ისიც გაუგებარია, რა საჭიროა ამდენი გუნდი უმაღლეს ლიგაში.**

— სწორი შენიშვნაა, თორმეტგუნდა ჩემპიონატი სასიკეთოს არაფერს მოუტანს ქართულ კალათბურთს. კარგა ხანია, ამ საკითხზე ვფიქრობ და შევეცდები, კოლეგებიც დავიყოლიო, რათა გუნდების რაოდენობა რვამდე შემცირდეს. უმაღლესი ლიგის კარი აქამდე ყველასთვის ღია იყო, ამას ერთადერთი მოსაზრებით ვაკეთებდით, გვსურდა, ჩემპიონატის გეოგრაფიული მასშტაბები გაგვეზარდა. მეტ-ნაკლებად ეს მოვახერხეთ კიდეც, მაგრამ რეზერვიც ბევრია, თუნდაც ქუთაისის მაგალითი ავიღოთ, ამ ქალაქის სირცხვილია, გუნდი რომ არ ჰყავს უმაღლეს ლიგაში. წინ გადადგმული ნაბიჯი კი ის გახლავთ, რომ ბათუმსა და გორში დაინტერესდნენ კალათბურთით. ახლა, როცა უკვე რეალური სურათი დაიხატა, ფედერაცია გაცილებით უფრო მკაცრიც გახდება. მარტო გორის შემთხვევაში, გეხსომებათ, რამდენ დათმობაზე წავედით. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქალაქში კალათბურთი არ ჩამკვდარიყო. ამიერიდან კი, გპირდებით, ყოველგვარი შეღავათი გამორიცხულია, აღარავის დავინდობთ. ვიმეორებ, ძალიან მინდა, რვაგუნდიანი ჩემპიონატი ჩავატაროთ. წლეულს ეს აღარ მოხერხდება, მაგრამ სურვილი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ახალ დებულებაში.

**— ბატონო გოგი, საკლუბო კალათბურთში არსებული პრობლემები ნაკრებზეც ვრცელდება. ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრაც კი სანატრელი გაუხდა. ნუთუ მხოლოდ ეკონომიკური კრიზისია ამის მიზეზი?**

— არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც, ჩემი აზრით, უმთავრესია. ქართულ კალათბურთში ძალიან მტკივნეულად მიმდინარეობს თაობათა ცვლის პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად დაგვხია უკან. ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო, ამდენად, ჩვენი ნაკრების ჩავარდნა და არასასურველი შედეგები ამითაც შეიძლება აიხსნას. შეუძლებელია, მსოფლიო კლასის ცენტრი ნიკოლოზ დერიუგინი მეორე დერიუგინით შეცვალო, ან სად უნდა მოვძებნოთ მოკლე დროში ისეთი კალათბურთელები, რომლებიც გელა დარსაძისა და გია სანაძის მაგივრობას გასწევენ? როცა ყოველივე ამას ფინანსური გაჭირვებაც დაერთო, ხელში შეგვრჩა მშიერი მწვრთნელების მშიერ-მწყურვალი კალათბურთელები.

**— ევროპის ჩემპიონატის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე, დანიაში, თქვენც ახლდით ნაკრებს. თქვენი აზრით, მარცხი გარდაუვალი იყო?**

— დანიაში არც ერთი თამაში არ უნდა წაგვეგო. ინდივიდუალურად სხვა ქვეყნის კალათბურთელები ახლოსაც ვერ მოვიდოდნენ ჩვენს ბიჭებთან, მაგრამ ეს წაგება მთლიანად უკლასობის ბრალია, პროფესიონალიზმში მოვიკოჭლეთ. კვიპროსის მწვრთნელი თამაშის შემდეგ გაოცებას ვერ მალავდა, ეს ჩემი სამწვრთნელო კარიერის ზენიტიაო — ამბობდა, ვერ წარმოედგინა, კალათბურთში ყოვლად უნიჭო კვიპროსელებით ქართველთა დამარცხებას თუ შეძლებდა.

სხვა აზრი ვერ გამომაქვს, დანიაში ჩვენივე მოთამაშეების დაბალმა კლასმა და სათამაშო დისციპლინის უქონლობამ დაგვალალატა. ამის მიზეზი ისევ და ისევ ეროვნული ჩემპიონატის უსუსურობაში უნდა ვეძიოთ, ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა საქართველოს ჩემპიონატში იწრთობა და დისციპლინაც აქ უყალიბდება. ჩვენთან კი რა ხდება — თავად მწვრთნელები ამხედრებენ კალათბურთელებს და აყალმაყალისკენ მოუწოდებენ. ლამისაა, გულშემატკივრებს მოუბრუნდნენ და აგინონ. ქართველი კალათბურთელები შინაგანი კულტურის დეფიციტს განიცდიან.

**— ბოლოხანს ბევრი ითქვა და დაიწერა ფედერაციისა და ბათუმის „ბასკოს" ეგრეთ წოდებულ თბილ დამოკიდებულებაზე. ამბობენ, ფედერაციას აჭარის გუნდის გაჩემპიონება ხელს აძლევდა და საწადელსაც მიაღწიაო...**

— ეს ხელოვნურად შეთითხნილი ცილისწამებაა და მეტი არაფერი. არ მესმის, რატომ ფიქრობენ, თითქოს ფედერაცია „ბასკოს" გაჩემპიონებით ყოფილიყო დაინტერესებული.

**— არგუმენტი ასეთი აქვთ: „ბასკომ" ფედერაციას დახმარების ხელი გაუწოდაო. იგულისხმება სპორტული ინვენტარი და შეკრება, რომელიც დანიაში გამგზავრებამდე ნაკრებმა ბათუმში გაიარა.**

— გამოდის, ფედერაციამ პიჟამოების გულისთვის გაწირა „აზოტი". არ დაიჯეროთ, მსგავსი ფიქრიც კი დანაშაულია. როგორ ვირწმუნო, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე მურმან ქურიძემ ქრთამი აიღო და „ბასკოს" მოაგებინა-მეთქი. ამის საფუძველს ნამდვილად ვერ ვხედავ. ჩაწყობილი თამაში ერთი ქულით არ კეთდება, რადგან წაგებისგან დაზღვეული არ ხარ.

დღევანდელი „ბასკო" თითქმის იგივეა, რაც ადრინდელი „ვითა", „ვითა" კი ყოველთვის უგებდა „აზოტს", ზედიზედ სამი წელია, ხუთი რუსთაველი მოედანზე თავს აკლავს მეტოქეს, ნუთუ ასეთი ძნელი მისახვედრია, რატომ ვერ ხდება „აზოტი" ჩემპიონი?

მსგავსი ჭორები და მითქმა-მოთქმა ყოველთვის იქნება. მე კი ერთი დანამდვილებით ვიცი, ფედერაცია მიკერძოებას არავის აპატიებს.

**— მსაჯებზე რას იტყვით, კმაყოფილი ხართ ფინალში მათი გარჯით?**

— მსაჯებს ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ და მათ არავის დავაჩაგვრინებთ. რა დონის კალათბურთიც გვაქვს, მსაჯობაც ისეთივეა. არბიტრთა დღევანდელი თაობა ხომ პრაქტიკულად თავისით, სხვათა დაუხმარებლად გაიზარდა.

**— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი დაკავებული პოსტის დატოვებას აპირებს. ამის შესახებ თუ ჩაგაყენათ საქმის კურსში?**

— თემური ფედერაციაში იმიტომ მოვიყვანეთ, გვეგონა, კომერციულ საქმიანობას გაუძღვებოდა, ფინანსებს მოიზიდავდა და მდგომარეობას ოდნავ მაინც გამოასწორებდა. სამწუხაროდ, მას თავის კლუბში, „ვითაშიც" ფინანსური სიძნელეები შეექმნა და, აქედან გამომდინარე, ფედერაციასაც ვერაფრით შეეწია. მასთან მქონდა საუბარი და წასვლის სურვილი გამოთქვა, რაშიც დათიკაშვილს ხელს არ შევუშლი. საერთოდაც, ამიერიდან კლუბის წარმომადგენელი ფედერაციაში ვეღარ იმუშავებს.

**— ბატონო გოგი, სამომავლოდ თუ ხედავთ რაიმე პერსპექტივას, გაუთავებელი წაგებებით გულგატეხილ კალათბურთის ქომაგთ რით ანუგეშებთ?**

— ასეთ ცუდ დღეში ვართ და არ დაგიმალავთ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, ძალიან მალე საქართველოს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ეყოლება. ჩვენ გვეზრდება უნიჭიერესი ახალგაზრდობა — ფაჩულია, ცქიტიშვილი, ბოისა, უგრეხელიძე, ტულუში. მწამს, ეს ბიჭები ორ-სამ წელიწადში თავიანთ სიტყვას იტყვიან. მნიშვნელობა არა აქვს, ფედერაციის პრეზიდენტი მე ვიქნები თუ ვინმე სხვა. მთავარია, ქართულ კალათბურთს ძველი დიდება დაუბრუნდეს, მთელი ყურადღება აქეთკენ უნდა მივმართოთ, ეს უნდა იყოს ჩვენი ერთადერთი საფიქრალი და საზრუნავი.

გიორგი ბიკაშვილი


გურამ ცერცვაძის ფოტო
გოგი ქათამაძე

# ჩიკაგომ ჯონსი აღაფრთოვანა



ედი ჯონსი

ხუთშაბათს დილით ჩიკაგოს ოჰარას აეროპორტში ზღვა ხალხს მოეყარა თავი. აქ ნახავდით ასობით გულშემატკივარს პლაკატებით — „ჩიკაგო, ტკბილი სახლი", მრავალ ავტოგრაფებზე მონადირე მოზარდს, „ჩიკაგო ბულზის" მოცეკვავე გოგონათა ჯგუფს და მათ შუაში ამ გუნდის თილისმა ხარი-მასხარას. ეს ცირკის მსგავსი ატმოსფერო მხოლოდ ერთს მოწმობდა — ქალაქში კიდევ ერთი თავისუფალი აგენტი ჩამოვიდა. რამდენიმე დღის წინ ეს „დელეგაცია" ზუსტად ასე დახვდა ტრეისი მაკგრეიდის, ახლა ეს პატივი წილად ხვდა ედი ჯონსს.

„ჩიკაგო ბულზს" აქვს საკმაოდ დიდი თანხა და ამრიგად წესით არ უნდა გასჭირვებოდა სასურველ თავისუფალ აგენტთა აყვანა, მაგრამ ჯერჯერობით კლუბისთვის ყველაფერი კარგად არ მიდის. „ბულზს" ხელიდან გაუფრინდნენ გრანტ ჰილი, ტიმ დანკანი და ტრეისი მაკგრეიდი. ახლა „ჩიკაგო" ყოველ ღონეს ხმარობს, ჯონსიც არ დაკარგოს. აეროპორტში მოწყობილი შოუს შემდეგ ჯონსი შეხვდა ჰოკეის გუნდ „ჩიკაგო ბლექჰოქსის" მფლობელ ბილ ვირცს, დაესწრო ბეისბოლის მატჩს, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებს და, ცხადია, „ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობასაც ესაუბრა. მან, გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ჯერი კრაუზემ და მწვრთნელმა ტიმ ფლოიდმა ერთად მიირთვეს სადილი და, რაღა თქმა უნდა, დიდხანს ისაუბრეს ჯონსის და „ბულზის" შესაძლო ურთიერთობებზე. ისევე როგორც რამდენიმე დღის წინ ტრეისი მაკგრეიდი, ედი ჯონსიც უზომოდ კმაყოფილი იყო აქაურთა დახვედრა-სტუმართმოყვარეობით. „აღფრთოვანებული ვარ ყველაფრით. განსაკუთრებით გულშემატკივრებით, რომელნიც საოცარი შემართებით უჭერენ მხარს თავიანთ გუნდს. ამგვარი რამ ყველგან როდია. თუ აქ ვითამაშე, ვფიქრობ, მე და ფანები ერთმანეთს დიდ სიამოვნებას მივანიჭებთ".

ამ წლინახევრის წინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მომხდარმა მოთამაშეთა საყოველთაო გაფიცვამ, იგივე ლოკაუტმა, ძირფესვიანად შეცვალა კალათბურთელთა და კლუბების ურთიერთობის სისტემა, მნიშვნელოვნად შეიზღუდა კონტრაქტები. წავიდა ის დრო, როდესაც კლუბები სასურველ კალათბურთელებს ასტრონომიულ კონტრაქტებს უფორმებდნენ და მერე ფულის გადახდისას წელში წყდებოდნენ. ჯონსსა და მისი ასაკის მოთამაშეებს მაქსიმუმ ექვსწლიანი და 87,5 მილიონიანი კონტრაქტის იმედი უნდა ჰქონდეთ. ასეთი პირობის შეთავაზება დღეს არაერთ გუნდს შეუძლია. ასე რომ, კლუბები ცდილობენ, სხვა ხერხით მიიზიდონ კალათბურთელები. ამ მხრივ ჯერჯერობით „ჩიკაგო" ყოჩაღობს, თუმც, როგორც ვთქვით, ჯერ უშედეგოდ.

ედი ჯონსს არც დაუმალავს მასპინძელთა თბილი დახვედრით გამოწვეული კმაყოფილება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი უკვე ყაბულსაა, მიიღოს „ბულზის" წინადადება. მისი სიმპათიები უფრო ფლორიდული გუნდებისკენ — „ორლანდოსა" და „მაიმისკენ" იხრება. ასე რომ, ჯონსი არც ერთ მსურველს არ ეუბნება არც დადებით და არც უარყოფით პასუხს. იგი ჯერჯერობით იცდის და ცდილობს, ყველანაირად შეაფასოს სიტუაცია, რომელშიც იგი ხვდება გუნდების წარმომადგენლებთან შეხვედრისას. „ყველა გუნდი ცდილობს, კმაყოფილი დავრჩე და მაგრძნობინებს, რომ ძალიან ვუნდივარ. ამისთვის ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, მაგრამ მე მინდა კარგად გავარკვიო, ყოველივე ეს რეალურად ასეა, თუ ყალბი გულთბილობაა" — ამბობს ჯონსი.

ფული საქმეს არ წაახდენს, მაგრამ ედი ჯონსს ორი სხვა რამისკენ უფრო მიუწევს გული. პირველი გულშემატკივართა მხარდაჭერა და გუნდში თბილი ატმოსფერო. ამ მხრივ იგი ნამდვილად კმაყოფილია. მეორე კრიტერიუმად კი გუნდის სიძლიერეს მიიჩნევს. მართალია, „ჩიკაგოც" და „ორლანდოც" აღმშენებლობის და ჩამოყალიბების გზას ადგანან, მაგრამ აქ „ორლანდო" მაინც ერთი ნაბიჯით უსწრებს კონკურენტ „ჩიკაგოს". ასე რომ, ლიგის ყველაზე სასურველი თავისუფალი აგენტი ჯერჯერობით თავს იკავებს. ჩიკაგოდან დაბრუნებული ჯონსი ჯერ ორლანდოს ეწვევა და იქაურებს მოუსმენს, მერე კი მაიამის მიაშურებს, მისი აყვანის იმედი „მაიამი ჰითსაც" არ დაუკარგავს.

ირაკლი ფირაშვილი

# ახალბედათა გასაიდუმლოებული კონტრაქტები



კრის მიმი

„კლივლენდ კავალიერზში" მატებაა: კლუბმა კონტრაქტი გაუფორმა ახალბედა ცენტრ კრის მიმს. საზოგადოებას ამის შესახებ „კლივლენდის" გენერალურმა მენეჯერმა ჯიმ პაქსონმა ამცნო. კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა.

213-სანტიმეტრიანი მიმი წლევანდელ დრაფტში მეშვიდე ნომრად აიყვანა „ჩიკაგო ბულზმა", მაგრამ იმავე დღეს გაუცვალა „კლივლენდს" ჯამალ კროუფორდში. „კავალიერზს" მეტად ესაჭიროებოდა ცენტრი, რადგან გუნდი, ფაქტობრივად, ამ ამპლუის მოთამაშის გარეშეა დარჩენილი. ლიტველი ცენტრი ჟიდრუნას ილგაუსკასი ძალიან ხშირად იმტვრევა, მიმი კი მის შემცვლელად მოიაზრება. ჯიმ პაქსონი ახალი შენაძენით კმაყოფილია: „კარგია, რომ კრისთან კონტრაქტი დავდეთ. იგი მონაწილეობას მიიღებს საზაფხულო ლიგის მატჩებში და მწვრთნელებს მასთან მუშაობისთვის საკმაო დრო ექნებათ".

მიმი ტეხასის უნივერსიტეტიდან მივიდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მან სამი სტუდენტური სეზონი ითამაშა და რამდენიმე რეკორდის მფლობელი თუ მოზიარეც გახდა. მიმი ტეხასელთა ყველა დროის საუკეთესო დამფარებელია (264 დაფარება კარიერაში), აგრეთვე პირველი მოთამაშეა, რომელმაც 1100 ქულაზე, 800 მოხსნაზე და 200 დაფარებაზე მეტი გააკეთა. მიმმა დაფარებებში ტეხასის უნივერსიტეტის ყველა რეკორდი მოხსნა: ერთ მატჩში (რვა დაფარება), ერთ სეზონში (90 დაფარება) და საშუალოდ კარიერაში (2,80 დაფარება).

ბოლო სტუდენტურ სეზონში მიმი მატჩში საშუალოდ 17,7 ქულას, 10,5 მოხსნას და 2,7 დაფარებას აკეთებდა. იგი ამერიკის სტუდენტთა სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს. მიმი მეორე ტეხასელია, ვისაც ამგვარი პატივი ეღირსა. 1935 წელს იგივე ჯეკ გრეის მოეხერხებინა.

კონტრაქტის პირობები არც „ფილადელფია 76"-მა გაახმაურა. არადა, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ბილი კინგმა ერთბაშად ორ ახალბედას, უკანახაზელ კრეიგ „სპიდი" კლაქსტონს და ფორვარდ მარკ კარჩერს დაუდო ხელშეკრულება. „კლაქსტონის და კარჩერის დასაკუთრება ადრიანად გვსურდა, რათა მწვრთნელებმა საფუძვლიანად მოამზადონ ისინი ახალი სეზონისთვის" — ამბობს კინგი.

კლაქსტონი ჰოფსტრას უნივერსიტეტიდანაა და „ფილადელფიამ" დრაფტში მეორე ნომრად აიყვანა. კარჩერი კი მეორე წრეშია ამორჩეული 48-ე ნომრად. სტუდენტობისას იგი ტემპლის უნივერსიტეტში გამოდიოდა.




# თავდაჟირა გაფიცვა


REUTERS

პატრიკ რაფტერი

დასაწყისი პირველ გვერდზე

## დევისის თასი

ნახევარფინალი

**ავსტრალია 2:0 ბრაზილია**

ერთეულები: **პატრიკ რაფტერი** (ავსტრალია) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:3, 6:2, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:2, 6:3.

დევისის თასის ნახევარფინალისთვის მზადებისას ოზთა რიგებში მორიგმა ნაპრალმა დაალო პირი. უიმბლდონის მეოთხედფინალში ანდრე აგასისთან დამარცხებულმა მარკ ფილიპუსისმა, ამ რამდენიმე დღის წინ გუნდის ხელმძღვანელობას უსტარი აახლა, მუხლი მტკივა და ქვეყნის სახელით ასპარეზობას ვერ მოვახერხებო.

„სკადს" მსგავსი უარი ადრეც შეუთვლია კაპიტან ჯონ ნიუკომბისთვის, თუმცა ამჯერად ამას მისი თანაგუნდელის, პატრიკ რაფტერის აღშფოთებული რეაქცია მოჰყვა: „მარკს ვერასოდეს გაუგებ, რის გაკეთებას აპირებს, ის მუდამ გვატყუებს ყველას. მაშინაც კი, როდესაც გუნდში თამაშზე თანხმდება, ბოლო წუთამდე არ ვართ დარწმუნებული, ითამაშებს თუ არა. კარგი იქნებოდა, ამდენი მალვისა და შემოვლითი გზების ნაცვლად გამოსულიყო და პირდაპირ ეთქვა, თუ რა არ მოსწონს ნაკრებში, რატომ გვებუტება და რაიმე მოთხოვნები მაინც წამოეყენებინა".

ცხადია, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის ამ სიტყვებს უკვე ფილიპუსისი ველარ დატოვებდა უპასუხოდ. აჰა, მისი კომენტარიც: „ვერ გამიგია, რას მერჩიან, მე უბრალოდ ტრავმა მაწუხებს და მეტი არაფერი. ვფიქრობ, რაფტერს ვილაცამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. როდესაც მას მხარი სტკიოდა, მე ხომ არ მითქვამს, აუცილებლად ითამაშოს, გვღალატობს-მეთქი. არ მომწონს, როდესაც ხალხი ამბობს, რომ დევისის თასზე თამაში არ მიყვარს. ეს მართალი არ არის, საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვაზე სასიამოვნო სპორტსმენისთვის არაფერია".

მოკლედ, ავსტრალიელ ჩოგბურთელთა შორის ურთიერთობა უკიდურესობამდე დაიძაბა. ხელაღებით ფილიპუსისის დადანაშაულებაც არ იქნებოდა სწორი, შარშან ფინალში მან ხომ ფრანგების დამარცხებასა და მწვანეკონტინენტელთა გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო.

ყოველ შემთხვევაში, უიმბლდონის შემდეგ ნახევარფინალში მონაწილეობის მისაღებად შინ სასწრაფოდ დაბრუნებულმა რაფტერმა ამ თემაზე საუბრის სურვილი აღარ გამოთქვა და მხოლოდ ის განაცხადა, იმედია, კონფლიქტს უახლოეს ხანებში მოვაგვარებთო.

ავსტრალიელთა ბანაკში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ მათი თამაშის ხარისხზე არანაირი უარყოფითი გავლენა არ მოახდინა. მასპინძლებმა ბრაზილიელებს ბრისბენის ANZ-ის რაგბის სტადიონზე სახელდახელოდ აგებული ტრიბუნები და, რაც მთავარია, მათთვის მეტად უსიამოვნო, ბალახის უსწრაფესი საფარი დაახვედრეს, რითაც ფაქტობრივად წინდაწინ გაინაღდეს გამარჯვება.

პირველნი კორტზე რაფტერი და სტუმართა ლიდერი გუსტავო კუერტენი გავიდნენ. „გუგა" უნივერსალური მოთამაშეა, შარშან უიმბლდონის მეოთხედფინალისტიც გახლდათ, ამიტომ მისი უსუსური თამაში ცოტა მოულოდნელი იყო.

რაფტერმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა მეტოქე: ბადესთან უნაკლოდ ითამაშა, ბრეიკ-პოინტამდე ერთხელაც არ მიაყვანინა საქმე, თავის მხრივ, მოწოდება ხუთჯერ აართვა და სულ 77 წუთში მოიგო.

„დღეს მას ვერაფერი მოვუხერხე. ასე მწარედ არასოდეს წამიგია, ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმძიმესი დღეა" — განაცხადა კუერტენმა, რომელსაც ზურგის ტკივილები აწუხებს და საეჭვოა, წყვილებში თამაში მოახერხოს.

რაფტერისგან ესტაფეტა 19 წლის ლეიტონ ჰიუიტმა გადაიბარა. მან თიხნარზე თამაშის ოსტატ ფერნანდო მელიგენის შანსი არ დაუტოვა და ჩვეული შეძახება-მუშტების მოღერების გარეშეც იოლად, საათნახევარში მოიგო.

მესამე სეტის ბოლოს ერთი თავშესაქცევი ამბავი მოხდა. მელიგენის მოწოდების შემდეგ გვერდითმა მსაჯმა კარგა ხანს იფიქრა, მერე კი „აუტ"-ო დაიძახა. ბრაზილიელი საპასუხოდ ხელებზე დადგა და თამაშის გაგრძელება მცირედით გაწელა: „ის ბურთი 150 პროცენტით შიგნით იყო, უბრალოდ, ძალიან იმედგაცრუებული დავრჩი. საჭოჭმანო მომენტებში სულ მასპინძელთა სასარგებლოდ იღებდნენ გადაწყვეტილებას".

ნამდვილი სასწაული უნდა მოხდეს, ავსტრალიელებმა ფინალში გასვლა ვერ მოახერხონ, თუმც კაპიტანი ჯონ ნიუკომბი ამას არ იმჩნევს და თავშეკავებულად საუბრობს: „გაცილებით ხელსაყრელ პოზიციაში ვართ, მაგრამ სანამ მოგებას ოფიციალურად არ გავიფორმებთ, ზეიმზე ფიქრი ნაადრევია. დევისის თასი მეტად უცნაური ტურნირია, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

მასპინძლებს მხოლოდ ერთი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდათ: მატჩი ახალდაწყებული იყო, როდესაც ასობით გულშემატკივარი წამოდგა და სტადიონი უკანმოუხედავად დატოვა. საქმე ის არის, რომ სახელდახელოდ აგებული ტრიბუნები მეტად უხეირო გამოდგა და მრავალი ადგილიდან მატჩის ცქერა შეუძლებელი აღმოჩნდა. არადა, სამდღიანი ბილეთების ფასი 145 დოლარი იყო.

„ეს აღმაშფოთებელია. ჩანს ბადე და ერთი მოთამაშე, მაგრამ კორტის მეორე ნახევრის დანახვა თითქმის გამორიცხულია. ჩვენ უკან დაბრუნებას აღარ ვაპირებთ" — განაცხადა ერთ-ერთმა ქომაგმა.

ორგანიზატორების ბოდიში აბა, ვის დააკმაყოფილებდა, თუმცა ეს უკანასკნელნი დარჩენილ შეხვედრებზე გაწბილებულ მაყურებლებს სხვა ადგილებზე გადაყვანასაც შეჰპირდნენ.

**ავთანდილ სვანიძე**

# მაკინროი ეკლებზე ზის

თუ ელით, რომ მეორე ნახევარფინალის შედეგებს აქვე გაიგებთ, უნდა გაგაწბილოთ — აშშ-სა და ესპანეთის გუნდები მხოლოდ მომდევნო უქმეებზე შეხვდებიან ერთმანეთს.

ამერიკელთა კაპიტან ჯონ მაკინროის ბოლო ხანს, ღამით აღარ სძინავს: მისი ნაკრების ამოცანა სულ უფრო და უფრო ემსგავსება ტომ კრუზის პოპულარული სერიალის, „შეუსრულებელი მისიის" სათაურს.

ესპანეთში, ნელ თიხნარზე, მასპინძლების დამარცხება ისეც მეტად რთული იქნებოდა, მაგრამ ამერიკელებს ახლა ორმაგად გაუჭირდებათ — მათ ერთბაშად ორი საუკეთესო ჩოგბურთელი, პიტ სამპრასი და ანდრე აგასი დააკლდებათ.

სამპრასი უიმბლდონზეც ტრავმირებული თამაშობდა, ამიტომ ექიმებმა ორი-სამი კვირით დასვენება ურჩიეს. აი, აგასი კი კვირას, ლას ვეგასში მსუბუქ ავტოავარიაში მოყვა და ზურგის კუნთები და მხარი იტკი..

მაკინროიმაც უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და გადაწყვიტა, გუნდში ის ჩოგბურთელი მოეწვია, რომელიც დევისის თასზე თამაშზე უარს არასოდეს იტყოდა — ჯონ მაკინროი. „ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ გამორიცხული არაა, წყვილებში მართლაც ვიასპარეზო. რა ვქნა, მოთამაშეები თვალსა და ხელს შუა მეცლებიან ხელიდან".



ჯონ მაკინროი



# F1

მეათე ეტაპი — **ავსტრიის დიდი პრიზი**

## A1-რინგი

*შპილბერგი, 16 ივლისი*




**ტრასის სიგრძე** ........................ **4.326 კმ**
**რბოლის დისტანცია** ........................ **71 წრე — 307.146 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 ირვინი (ფერარი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 ჰაკინენი (მაკლარენი); 4 ფრენცენი (ჯორდანი); 5 ვურცი (ბენეტონი); 6 დინიცი (ზაუბერი)

**კვალიფიკაცია:** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:10.954

### წინა წლების გამარჯვებულები

1981 — ლეფიტი (ლიჟიე); 1982 — დე ანჯელისი (ლოტუსი); 1983 — პროსტი (რენო); 1984 — ლაუდა (მაკლარენი); 1985, 86 — პროსტი (მაკლარენი); 1987 — მენსელი (უილიამსი); 1997— ვილნევი (უილიამსი); 1998 — ჰაკინენი (მაკლარენი)

**საუკეთესო წრე:** 1997 — ვილნევი (უილიამსი) 1:11.814 (216,9 კმ/სთ)

# კულჰარდი იუბილეს გიოსერით აღნიშნავს



დევიდ კულჰარდი ხვალ მეასედ მიუჯდება ბოლიდის საჭეს

**ავსტრიის** დიდი პრიზის გათამაშება სამი წელია, რაც განახლდა. პირველი ეტაპი 1964 წელს, „ცელტვეგის" ავტოდრომზე, „ფერარით" მოასპარეზე ლორენცო ბანდინიმ მოიგო.

ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, 1970 წლიდან, რბოლამ დედაქალაქ ვენიდან ორასიოდე კილომეტრის დაშორებით, „ოსტერრაიხრინგზე" დაიდო ბინა. დებიუტი „ფერარის" ტრიუმფით აღინიშნა — გამარჯვება ბელგიელ ჟაკ იქსს დარჩა. ამ ავტოდრომზე სულ 18 რაუნდი გაიმართა, რის შემდეგაც ავსტრია კიდევ ერთხელ, ამჯერად ათი წლით ჩამოშორდა სამეფო რბოლებს.

გათამაშება 1997 წელს აღდგა ძირფესვიანად განახლებულ და სახელშეცვლილ ტრასაზე. ძველი „ოსტერრაიხრინგი" საკმაოდ გრძელი (6 კმ) და სწრაფი იყო — საშუალო სიჩქარე 220 კმ-ს აჭარბებდა. არც ახალი, კლასიკური სიგრძის წრე გამოირჩევა სირთულით. იქ ოთხი გრძელი მონაკვეთია, სადაც 300 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეიძლება. საერთოდ ეს ტრასა სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე ჩქაროსნულია. მოსახვევებს განთქმული ავსტრიელი პილოტების — ნიკი ლაუდას, იოხენ რინდტის, გერჰარდ ბერგერის სახელები აქვს, ერთსაც ცნობილი ლუდისა — „გიოსერი". ავტოდრომის რეკონსტრუქცია 28 მილიონი დოლარი დაჯდა. ავსტრიის ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა რბოლის დასაბრუნებლად, რადგან მშვენივრად უწყოდა, რომ ამას უზარმაზარი მოგების მოტანა შეეძლო. არც შემცდარან — ფორმულის ფანებმა ქვეყნის ხაზინა პირველივე წელს 37 მილიონით გაამდიდრეს.

მართალია, შარშანდელი ეტაპიც „ფერარის" გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ოთხი მოგებით „მაკლარენი" ლიდერობს. პირად ჩათვლაში წინაა ალენ პროსტი — „პროფესორმა" სამჯერ მიაღწია წარმატებას. ისიც საინტერესოა, რომ ოდესმე სტარტზე გამოსული 12 ავსტრიელი მრბოლიდან მხოლოდ ერთმა — ლაუდამ შეძლო მშობლიური დიდი პრიზის დასაკუთრება.

მთიან შპილბერგში ამინდი საკმაოდ ჭირვეულია და ხშირად ასპარეზობას წვიმაც ემთხვევა. თუმც იქ უამისოდაც არც ისე ცხელა, როგორც დაბლობში მდებარე ტრასებზე. ამიტომ ძრავას ნაკლებად დაძაბულ, შეღავათიან რეჟიმში უწევს მუშაობა.

ბოლოს იმასაც აღვნიშნავთ, რომ ხვალინდელი რბოლა საიუბილეო, მე-100 იქნება წლევანდელ სეზონში ბრწყინვალედ მოასპარეზე დევიდ კულჰარდისთვის.

**ირაკლი ნიკოლაძე**

გსურთ ხელმისაწვდომ ფასებში მაღალპროფესიული იურიდიული მომსახურება?

მაშ, ეწვიეთ ფირმა „პრეცედენტს", რომელიც მდებარეობს ვერაზე, სასტუმრო „საქართველოს" მოპირდაპირე მხარეს, მელიქიშვილის №7.
ტელ: 29-29-46, 52-64-25 (საღამოს). 8 99 56-00-50

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იცინის ის, ვინც დღეს გაიცინებს

## გუშინ ლუისი ბჭობდა, ბოთა იცინოდა




ლენოქს ლუისი — საბჭოსა და ფედერაციის ქამრებისთვის — ფრანსუა ბოთა

| 36 მოგება, 1 წაგება, 1 ფრე | | 40 მოგება, 2 წაგება, 1 ფრე |
|---|---|---|
| 34 წ | ასაკი | 31 წ |
| 113,4 კგ | წონა | 107,4 კგ |
| 195 სმ | სიმაღლე | 187 სმ |
| 214 სმ | წვდომა (ორივეხელგაშლილი) | 188 სმ |
| 112 სმ | გულისფიცარი | 107 სმ |
| 117 სმ | გულისფიცარი (შესუნთქულზე) | 117 სმ |
| 43 სმ | ბიცეპსი | 43 სმ |
| 47 სმ | კისერი | 46 სმ |
| 30 სმ | მუშტი | 33 სმ |
| 20 სმ | მაჯა | 20 სმ |
| 66 სმ | ბარძაყი | 66 სმ |
| 86 სმ | წელი | 96,5 სმ |

**ლონდონში** ხმაური გრძელდება — დღეს საღამოს „ლონდონ არენაზე“ ბრიტანელი ლენოქს ლუისისა და სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთა ერთმანეთს მუშტებს მოუღერებენ, შავი ინგლისელი და თეთრი აფრიკელი კრივის მსოფლიო საბჭოსა (ვბკ) და კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) ქამრებისთვის დასცხებენ ერთმანეთს. თავად ბრძოლა აისბერგის ხილული ნაწილია, უხილავი კი ათობით და ასობით ადამიანის თავდადებული შრომა გახლავთ, რათა ლონდონელებმა და არამარტო მათ შავი დღისთვის შემონახული ფულიც კი არ დაზოგონ და ბილეთი იყიდონ. საზოგადოებაში ინტერესის აღძვრის მრავალფეროვანი ხერხები არსებობს და, მათგან ერთ-ერთი მთავარი მეტოქეთა ერთმანეთის მტრად წაკიდების მცდელობაა, რაზეც გუშინაც გესაუბრებოდით — აი, ლუისმა და ბოთამ რომ პრესკონფერენციაზე ერთმანეთს უკბინეს. ახლა მეორე ხერხიც: მრავალი ფიქრობს, რომ ლუისი ბოთასთან მხოლოდ გაისეირნებს, მაგრამ ორიოდე დღის წინ ბრიტანელმა ეჭვი დათესა, ბოთას რამდენიმე ჩხუბის ვიდეოჩანაწერი ვნახე და მისი საკრივო ღირსებები დავაფასეო. ესმის ეს ზოგ ინგლისელ ობივატელს და სჯერა, რომ გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ მომხდარი აღარ განმეორდება, როცა მაიკ ტაისონისა და ლუ სავარეზეს შეხვედრაში, კაცურ ხათქახუთქს დანატრებულმა მაყურებელმა, 38-წამიანი „მკვლელობის“ მეტი ვერაფერი იხილა.

...და მართლაც, ვითომ ასე იოლად გაისეირნებს ლუისი ბოთასთან? სამხრეთაფრიკელი სავარეზე არ არის, ვისაც პროფესიულ რინგზე მოგებათა და წაგებათა რიცხვი დაახლოებით ტოლი აქვს. ბოთამ თერთმეტი წლის მანძილზე 40-ჯერ მოიგო (25 ნოკაუტითა და ტექნიკური ნოკაუტით), 1 შეხვედრა ფრედ დაასრულა და მხოლოდ ორჯერ წააგო. ესეც გავითვალისწინოთ: ერთი მარცხი ბოთამ თვით მაიკ ტაისონისგან იწვნია, შარშან, ლას ვეგასში, როცა მეხუთე რაუნდში გაიშოტა რინგზე და ათის დათვლამდე აღარც ამდგარა. „თეთრი ბიზონი“, როგორც ბოთას ეძახიან, ერთი პროფესიული ტიტულის პატრონიც გახლავთ, ხუთი წლის წინ გერმანელი აქსელ შულცი სცემა და ფედერაციის ქამარს დაეპატრონა, მაგრამ წარმატებით ტკბობამ მხოლოდ ერთ თვეს გასტანა, მერე იგი სტეროიდების მოხმარებაში ამხილეს და ქამარი წაართვეს. წელიწადიც არ გასულა და იგი დაბრუნდა, ახლა მაიკლ მურერს შეეზიარა ფედერაციის უმაღლეს ჯილდოს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმდენი ურტყა, 12-რაუნდიანი ბრძოლის ბოლო წუთზე უკვე ფეხზე ვეღარ იდგა და რეფერიმ ბრძოლა გაწყვიტა. მოკლედ, დღეს საღამოს ლუისთან იჩხუბებს კაცი, ვინც იცის მუშტი როგორ გაიქნიოს და არც ერთი მეტოქის არ ეშინია. ჩემთვის ავტორიტეტი არ არსებობსო, თქვა ბოთამ პრესკონფერენციაზე, ასეთად ტაისონიც კი არ მიმაჩნია და ლუისი მით უმეტესო. „საერთოდ 12-რაუნდიან ჩხუბს ველი და ამისთვის მზადა ვარ — დაუმატა „ბიზონმა“ — თუ ნოკაუტით მოვიგე, ჩავთვლი, რომ პრემია მერგო.“ მოგვიანებით ბოთამ კიდევ ერთი ეფექტური რამ განაცხადა, მაგრამ იმას ბოლოს მოგახსენებთ, რადგან ლუისისა და მისი ბანაკის ხმამაღალი განცხადების პასუხი იყო. დიალოგი აწონვის შემდეგ გაიმართა, ისტ-ენდის საკმაოდ ხალხმრავალ ადგილას, სადაც გაკეთებულ სცენაზე მოხეტიალე დასების დღესაც შემორჩენილი ნაშთები წარმოდგენებს მართავენ, ამჯერად კი პრომოუტერმა პანოს ელიადისმა ხალხში ბრძოლისადმი ინტერესის კიდევ უფრო გასაღვივებლად გამოიყენა. მოკრივეები წესისამებრ გაისარჯნენ, შარვალ-პიჯაკი გაიძრეს და საკრივო ალკაზმულობით გაწყობილნი წარუდგნენ საზოგადოებას. ამას მოჰყვა კუნთების ბერვა და ბრბოს აღტაცებული გმინვა. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, რადგან სცენის იქითა კუთხეში პეპელასფრთებიანი და ქოლგიანი კლოუნის წარმოდგენიდან ხალხი მოკრივეებისაკენ უწყვეტ ნაკადად დაიძრა. ელიადისიც იქვე იყო და როცა დარწმუნდა, თონე გახურებულიაო, ლავაშის ჩაკვრას შეუდგა: დიდსა და პატარას მოუწოდა, დაუყონებლივ შეეძინათ, მისი თქმით, „თითზე ჩამოსათვლელად დარჩენილი ბილეთები“, თორემ სულ მალე გვიან იქნებაო. ხალხი მოწოდებას გამოეხმაურა, თუმცა ყველა ბილეთის გასაღების თაობაზე ინფორმაცია არა გვაქვს, რადგან ამასობაში მასმედია მოკრივეებს შესეოდა ბუზებივით და მათგან ახალი, მაგარ-მაგარი სიტყვების მოლოდინში იყო. ლუისს 38 ბრძოლიდან თავისი ერთადერთი წაგება გაახსენეს, ექვსი წლის წინ ოლივერ მაკკოლისგან მეორე რაუნდში ნაწვნევი და ჰკითხეს, ასეთი რამის განმეორებას შესაძლოდ თუ თვლითო. „მეხი ერთ ადგილას ორჯერ არ ეცემა — განმარტა ლუისმა — არც მე მომივა ამგვარი რამ“. შემდეგ ჩემპიონმა სხვა ინფორმაციაც გამოამზეურა, კერძოდ ის, რომ მისი საკრივო ტალანტი ბოთასაზე ზედმეტად აღმატებულია, ხოლო მწვრთნელმა იმანუელ სტიუარტმა დამაგვირგვინებელი ფრაზა თქვა: „ლუისი ახლა ისეთ ფორმაშია, ისტორიაში მუჰამედ ალისა და ჯო ლუისის გვერდზე დადგომა ხელეწიფება. დღეს არ არსებობს მძიმე წონის მოკრივე, რომელიც ლენოქსს ხელს მოჰკიდებს“. ბოთა იქვე იდგა და ამის გაგონებაზე ხარხარი აუტყდა. „მე მოვკიდებ და მაგრადაც — გადმოაგდო მან სიცილის შუალედში — აგერ შაბათი ღამე მოდის და იმ თქვენს კაცს ბიზონის ძალა უნდა ვაწვნიო“. თუმცა „სარბიელს“ მუდამ ჭეშმარიტება აინტერესებს და ის აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ნახსენები ცხოველის სახელი ლუისს უფრო შეჰფერის: აწონვისას გაირკვა, რომ ინგლისელი მაიკლ გრანტის გალახვიდან სამ თვეში სამი ფუნტით გასუქებულა და ახლა 113 კილოსა და 400 გრამს იწონის. მოუმატია ბოთასაც, რომლის ჩვეული საბრძოლო წონა 103,4 კილოგრამი იყო და გუშინწინ, ლონდონის დროით 17 საათსა და 12 წუთზე 107,4 დააფიქსირა სასწორმა. ცხრილში სხვა მაჩვენებლების ნახვაც ცხადყოფს, რომ ლუისის საწყისი მაჩვენებლები ბოთასაზე ოდნავ მეტია, თუმცა, ალბათ, ამ ფაქტორებს არ ექნებათ გადამწყვეტი მნიშვნელობა. დღევანდელ საღამოს ყველაფერს მუშტები გადაწყვეტენ.

**დავით გულუა**

# კანდელაკმა სინიორი გალახა და ლუისის მიპატიჟებაზე უარი თქვა

**წარმატებული** გამოდგა გიორგი კანდელაკის მორიგი სარეიტინგო ბრძოლა პროფესიულ რინგზე — გუშინწინ, შუაღამისას, ლონდონში ქართველმა მოკრივემ რვა რაუნდში ქულებით დაამარცხა ინგლისელი ჰარი სინიორი. გიორგი ამ დილით ჩამოფრინდა საქართველოში, ჩვენ კი გუშინვე, თბილისში გამოფრენამდე ლონდონში, ლენოქს ლუისის კოლეჯში დავუკავშირდით. ჯერ გამარჯვება მივულოცეთ და მერე ჩხუბზე დავეკითხეთ.

— მძიმე ბრძოლა იყო. სინიორის კარგად ვიცნობდი, რადგან ადრე სპარინგებისას ხშირად შევხვედრივარ და ჩემს ადრინდელ მეტოქეებზე ძლიერი რომ იყო, ვიცოდი. ამიტომაც ნოკაუტის იმედი ნაკლებად მქონდა, ჰოდა, ქულებით მოგება დავგეგმეთ. საბოლოოდ მართლაც ასე მოხდა. რვა რაუნდი ვიჩხუბეთ, თუმცა ბოლოს ჩემი მოგება არავის ეეჭვებოდა, იმდენად დიდი იყო უპირატესობა.

**— რაუნდების მიხედვით ქულათა თანაფარდობა როგორი იყო?**

— მხოლოდ ერთი რაუნდი დამთავრდა ფრედ, შვიდი კი მოვიგე.

**— საგრძნობი უპირატესობა გქონიათ...**

— დიახ, მაგრამ ვიმეორებ, მოგება გამიჭირდა. ვერ ვიტყვი, სინიორი იოლად დავამარცხე-მეთქი, თუმც არც ისეთი კრიტიკული მომენტი მქონია, წაგების საფრთხის წინაშე ვყოფილიყავი.

**— ახლა რა გეგმები გაქვთ?**

— ჯერ ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ვიცი, რომ ოქტომბრის დასაწყისში ვიჩხუბებ და აუცილებლად თბილისში. სხვა ჯერ არაფერია ცნობილი.

**— ხვალ ლუისისა და ბოთას საჩემპიონო ორთაბრძოლას დაესწრებით?**

— სამწუხაროდ, ვერა. დაპატიჟებული კი ვარ, მაგრამ საქართველო და ოჯახი ძალიან მომენატრა და დღესვე თბილისში მოვფრინავ.

კანდელაკი მეტად აღარ შეგვიწუხებია, მომავალშიც წარმატებები ვუსურვეთ და დავემშვიდობეთ. ბოთა — ლუისის შერკინებას ის ვერა, სამაგიეროდ, კობა გოგოლაძე კი დაესწრება, რომელიც აგერ ათი დღეა, ლუისის კოლეჯში ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ მან 25 ივლისს უნდა იჩხუბოს. მის ერთ-ერთ სავარაუდო მეტოქედ სწორედ იმ ამერიკელ ზანგ დევიდ ტერნერს ასახელებენ, რომელიც კობამ თავის ბოლო, ინტერკონტინენტალის ქამრის დასაცავ შეხვედრაში ამ შემოდგომაზე თბილისში ერთხელ უკვე გალახა და მარცხენა ხელის ტრავმადაც დაუჯდა. ამბობენ, ჭადრაკში ფრიად განსწავლულ ზანგს რემატჩი სწყურიაო. უარს არც კობაა...

**ირაკლი თაგაძე**



გიორგი კანდელაკმა საქართველოში აქამდე ორჯერ იჩხუბა, ბათუმური ბრძოლის მერე, მესამედ ოქტომბერში თბილისში ვიხილავთ რინგზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკულ-იტალიური ალიანსი საფრანგეთში

## არმსტრონგმა პანტანის მწვერვალი დაუთმო



„ახლა ჩემთვის სულ სხვა „ტური" იწყება. პარიზში შეიძლება პოდიუმზეც ავიდე. ფანტასტიკური დღე იყო" — თქვა მარკო პანტანიმ. 30 წლის იტალიელმა „ტურის" ყველაზე ძნელი ეტაპი მოიგო კარპენტრადან ვანტუს მთამდე. „მეკობრე" მეექვსე მრბოლი გახდა, ვინც ვანტუზე იმარჯვა. მანამდე ეს შარლი გოლს, რეიმონ პულიდორს, ედი მერქსს, ბერნარ ტევენეს და ჟან-ფრანსუა ბერნარს მოუხერხებიათ. სხვათა შორის, ხუთივე ვანტუს მწვერვალზე იყო და ეტაპის შესახებ თავიანთი მოსაზრებებიც მრავლად არიგეს.

პანტანიმ კი მოიგო, მაგრამ ეს მაინც ლენს არმსტრონგის კეთილი ნების გამოვლინების შედეგი გახლდათ. ტეხასელმა დიდსულოვნად დააფასა იმ ერთადერთი მრბოლის ვაჟკაცობა, რომელმაც მისი მიყოლა ბოლომდე შეძლო.

„შემეძლო გავქცეოდი, მაგრამ პანტანი გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდა. ხალხისთვის ის საუკეთესო მთიელია, ამიტომ მოგება მისთვის უფრო კარგი და მნიშვნელოვანი იყო. ჩემთვის კი ეტაპზე პირველობა არცთუ დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა" — განაცხადა ამერიკელმა.

ედი მერქსი, წარსულში „ტურის" ხუთგზის გამარჯვებული და კიდევ უამრავი ტიტულის მფლობელი, არმსტრონგის საქციელს მიესალმა, მაგრამ პირდაპირ ეთერში ესეც თქვა: „გულწრფელად გეტყვით, არ ვიცი, იგივეს გაკეთებას თუ შევძლებდი. ჩემთვის ყველა გამარჯვებას განსაკუთრებული გემო ჰქონდა". ტყუილა კი არ ეძახდნენ ბელგიელს „კანიბალს".

„ჩემმა გუნდმა მთელი თავისი შესაძლებლობები წარმოაჩინა" — თქვა არმსტრონგმა და იქვე დაამატა, რომ იგი თავს პელოტონის პატრონად არ თვლის, რადგან ეს დრო უკვე წავიდა და ედი მერქსის ანდა ბერნარ ინოს დარი მრბოლები პელოტონში აღარ არიან. პოსტალელებმა კი მართლაც იყოჩაღეს. ტაილერ ჰამილტონმა და კევინ ლივინგსტონმა, რომლებმაც პირინეებში თავი ვერაფრით გამოიჩინეს, ამჯერად თავიანთი ლიდერი ვანტუს მთის თითქმის ნახევრამდე აიყვანეს. მანამდე კი დღის ყველაზე ხანგრძლივი შეტევა ჩაშალეს.

მე-40 კილომეტრზე, ეტაპის პირველ სიძნელე — მიურის უღელტეხილამდე, ცხრაკაციანმა ჯგუფმა წამოიწყო იერიში. ლტოლვილებს წინა კვირას ლიმოჟში მომგები, ფრანგი კრისტოფ ანიოლუტო თავკაცობდა. მათ ყველა სიძნელე პირველებმა დაძლიეს და თითქმის ხუთწუთიან უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ „პოსტალის", შემდეგ კი „ბანესტოსა" და „კელმეს" მეცადინეობით პელოტონი ვანტუს ძირში წამოეწია დაწინაურებულებს.

მერე ისევ პოსტალელები მოექცნენ რბოლას სათავეში და როცა არმსტრონგს უკანასკნელი გრეგარიც ჩამორჩა, მოწინავე შვიდეული ასეთი იყო — არმსტრონგი, იან ულრიხი, ხოსება ბელოკი, რობერტო ერასი, რიშარ ვირანკი, სანტიაგო ბოტერო და პანტანი. თავიდან იტალიელი დაახლოებით ნახევარი წუთით ჩამორჩა და ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი დაწევას შეძლებდა. თუმცა გზის უძნელესი მონაკვეთის გავლის შემდეგ ფინიშამდე ხუთიოდ კილომეტრით ადრე ექვსეული ისევ შვიდეულამდე შეივსო.

დაბრუნდა თუ არა, ხოტორა „მეკობრემ" იერიშები დაიწყო, რომელთაგან სასურველი შედეგით მხოლოდ მეხუთე დასრულდა. ფინიშამდე 2,5 კილომეტრი რჩებოდა, როცა ამერიკელი რეაქტიული თვითმფრინავით გამოუდგა იტალიელს და მალე დაეწია კიდეც. როცა გვერდზე გაუარა, ფრანგულად მიაძახა აუჩქარეო. შემდეგ პანტანიმაც აღიარა, რომ იმ მომენტში ყვითელმაისურიანის მიყოლა საშინლად გაუჭირდა. ფინიშზე კი არმსტრონგი თითქოს გვერდზე მიდგა და პანტანი წინ გაუშვა. „ის დიდი ჩემპიონია" — თქვა მეტოქეზე „მეკობრემ".

„ფრანს 2"-ის მიკროფონით ბერნარ ტევენემ კი არმსტრონგის ჟესტი ასე ახსნა: „კიდევ ოთხი მთიანი ეტაპი რჩება. მისმა თანაგუნდელებმა დღეს კი ივარგეს, მაგრამ მომავალში გაუჭირდებათ. არმსტრონგს ძლიერი მოკავშირე სჭირდება. პანტანი კი ამ როლისთვის იდეალურია, რადგან გუნდი არც მას უვარგა და საერთო ჩათვლაშიც 10 წუთზე მეტს აგებს ამერიკელთან".

საერთო ჩათვლაში მეორეადგილოსანმა იან ულრიხმა 29 წამი (და 12 პრემიალური) დათმო ამერიკელთან და ახლა უკვე ძნელი წარმოსადგენია, ამ ჩამორჩენის გაბათილება შეძლოს. მესამეზე ესპანელი ხოსება ბელოკი გადავიდა, რომელმაც თანაგუნდელ კრისტოფ მოროს გადაასწრო.

ამ ეტაპმა პელოტონს კიდევ ცხრა კაცი გამოაკლო, რომელთაც ვანტუს მწვერვალს ვერ უწიეს. მათ შორის სამი სახელოვანი სპრინტერი — გერმანელი მარსელა ვუსტი, ბელგიელი ტომ სტეელსი და ესტონელი იან კარსიპუუ. „ტური" კი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის შემდეგ, ამჯერად იუსტიციისა და ტრანსპორტის მინისტრებმა დააფასეს.

**გაიოზ თალაკვაძე**



მიდი, მარკო! შეუძახა არმსტრონგმა (მარცხნივ) პანტანის და პირველობა დაუთმო

### მეთორმეტე ეტაპი

კარპენტრა — მონ-ვანტუ, 149 კმ

1. მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) — 4 სთ 15 წთ 11 წმ
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — იგივე დრო
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ფესტინა) — +25 წმ
4. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +29
5. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) — +48

### საერთო ჩათვლა

1. ლენს არმსტრონგი — 48 სთ 50 წთ 21 წმ
2. იან ულრიხი — +4 წთ 55
3. ხოსება ბელოკი — +5, 52
4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +6, 53
5. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, მაპეი) — +7, 25

# ვინ დაიჭერს მწვანე პეპელას?

**ბოლო** ოთხი წელია, გერმანელი ერიკ ზაბელი (ტელეკომი) „ტურ დე ფრანსის" გამარჯვებული ხდება. ოღონდ ქულების ჩათვლაში. ქულებს კი მრბოლები სპრინტების დროს აგროვებენ. თითოეულს რამდენი ერგება, ამას ამ დღეებში გაგაცნობთ ჩვენი რუბრიკით — „ტურის ჯილდოები", მანამდე კი გეტყვით, რომ ზაბელი, ალბათ, წლეულსაც მწვანე მაისურით უწევს პარიზს, შანზ-ელიზეზე დანიშნულ „ტურის" ფინიშს. ეს კი „ტურ დე ფრანსის" ახალი რეკორდი იქნება. აქამდე არავინ გამხდარა ამ შეჯიბრის საუკეთესო სპრინტერი ხუთჯერ. ზაბელივით ოთხჯერ ირლანდიელ შონ კელის მოუპოვებია მწვანე მაისურა.



ერიკ ზაბელი

გერმანელის წარმატებას ვანტუს მთამ შეუწყო ხელი, რომელიც პეპლებისთვის მეტისმეტად ძნელი დასაძლევია. კარპენტრაში სტარტზე არ გამოვიდა ზაბელის თანამემამულე მარსელ ვუსტი, რომელსაც პირინეულ ეტაპზე სურდო შეჰყრია და ვანტუზე ასვლა არც უცდია. ბელგიელმა ტომ სტეელსმა, რომელმაც წლევანდელ „ტურზე" უკვე ორი ეტაპის მოგება მოასწრო და ესტონელმა იან კირსიპუუმ რბოლა კი დაიწყეს, მაგრამ შუა გზაზე მიატოვეს, რადგან დიდ დატვირთვებს ვერ გაუძლეს.

ვუსტი და სტეელსი ზაბელის მთავარი მეტოქეები იყვნენ მწვანე მაისურისთვის ბრძოლაში. კირსიპუუსაც სხვებზე მეტად შეეძლო ტელეკომელის შევიწროება. ახლა ზაბელი ქულების ჩათვლაში პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარ ლიტველ რომანს ვაინსტეინსს 93 ქულით უსწრებს. ამ ჩამორჩენის გაბათილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

მთლიანად პელოტონში კი ზაბელს მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი მოწინააღმდეგეებიღა დარჩა. ვაინსტეინსის გარდა გერმანელის სპრინტერულ ფინიშებზე ჯობნა ჰოლანდიელ იერონ ბლიილევენსს, ავსტრალიელ რობი მაკივენს და ფრანგ დამიენ ნაზონს შეუძლიათ, მაგრამ მათ ჯერჯერობით თავი ვერაფრით გამოუჩენიათ. ასე რომ, ბოლო ორი წლისგან განსხვავებით „ტელეკომის" პეპელამ იქნებ ეტაპის გამარჯვებასაც გამოჰკრას ხელი. სპრინტერებისთვის ხომ კიდევ რამდენიმე ეტაპია განკუთვნილი.

**გაგი გურული**

## ერთი დღის ისტორია

### 14 ივლისი

**1948 წელს** „ტურ დე ფრანსი" პოლიტიკაშიც აქტიურად ჩაერთო. 14 ივლისს იტალიაში სისხლიანი ამბები დატრიალდა. იტალიის კომუნისტური პარტიის ლიდერი პალმირო ტოლიატი ექსტრემისტმა ანტონიო პალანტემ დაცხრილა. საბედნიეროდ, იგი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ამ ინციდენტმა მთელი იტალია დენთის კასრზე შესვა, რომელიც როდის აფეთქდებოდა, არავინ უწყოდა.

„ტური" ამ დროს კანში იყო და საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის, ბასტილიის დაცემის დღის აღსანიშნავად, ისვენებდა. იტალიელთა გუნდი (მაშინ „ტურზე" ეროვნული ნაკრებები გამოდიოდნენ) საღამოთი ზღვის ნაპირზე სეირნობდა. როცა გუნდის ლიდერი ჯინო ბარტალი სასტუმროში დაბრუნდა, მას ტელეფონთან სთხოვეს. მრბოლთან საუბარი იტალიის პრემიერ-მინისტრ ალსიდ დე გასპერის სურდა. „იტალიაში რევოლუციის ქარი უბერავს — უთხრა დე გასპერიმ ბარტალის — ჯინო, მსურს ვიცოდე, შეგიძლია თუ არა „ტურის" მოგება? ეს ძალიან მნიშვნელოვანია მთელი იტალიისთვის". ჯინომაც პრემიერ-მინისტრს მაქსიმუმის გაკეთება აღუთქვა. იტალიაში ბარტალი ძალიან უყვარდათ და ყველა დიდ პატივსაც სცემდა. თუ იგი „ტურ დე ფრანსს" მოიგებდა, აპენინელთა ყურადღებას თავისკენ მიიპყრობდა და ქვეყანაში დაძაბული ვითარების განმუხტვასაც დიდად შეუწყობდა ხელს.



ჯინო ბარტალიმ იტალია რევოლუციისგან იხსნა

და ჯინო ბარტალიმ მოიგო. დაჭრილი ტოლიატის ოთახში მისი ვაჟი შევიდა და ჩურჩულით აცნობა თვისტომის წამრატების ამბავი. კომუნისტთა ლიდერის ტანჯული სახე მსუბუქმა ღიმილმა გაანათა, იტალიაში მართლაც აღარავის გახსენებია რევოლუცია.

## ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

**კარპენტრა** ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე დაუარსებიათ რომაელ კოლონიზატორებს. შუა საუკუნეების დასაწყისში ის ხუთასი წლის განმავლობაში პაპების (ავინიონელი) მფლობელობაში იყო. მის გარშემო მშვენიერი ბუნებაა. კარპენტრას მდიდარი კულტურული მემკვიდრეობაც აქვს. ამის დასტურად თუნდაც ეპისკოპოსთა სასახლეც გამოდგება. ეს ბრწყინვალე ნაგებობა ამჟამად თემიდის მსახურთა ხელშია და იუსტიციის სასახლე ჰქვია. ჰო, მართლა, კარპენტრა მთელ საფრანგეთშია განთქმული, როგორც საკონდიტრო წარმოების ცენტრი. აქაური შაქარყინულით და სხვა ნუგბარით კი ლამის მთელი დასავლეთ ევროპა იტკბარუნებს პირს.





**ვანტუს** მთა ქალაქი არ არის, ამიტომაც სხვაგვარად უნდა ვილაპარაკოთ. იგი ალპების სიახლოვესაა, მაგრამ მის სისტემაში არ შედის. ვანტუს მთის მწვერვალი ზღვის დონიდან 1909 მეტრზეა. მისი ფერდობები ტყეებითაა დაფარული, ზედა ნაწილი კი უდაბნოსავითაა მოშიშვლებული. „ტურ დე ფრანსის" პელოტონს აქ ბევრჯერ გაუვლია. ფინიში კი ვანტუს მთაზე მეექვსედ მოეწყო.

## ტურის ჯილდოები

### მთის მეფე - თეთრი მაისურა წითელი კოპლებით



რიშარ ვირანკი

**ერთ-ერთი** ყველაზე პრესტიჟული ჯილდო. გადაეცემა საუკეთესო მთიელს. გამოვლენა კი მთიან ფინიშებზე (ერთ ეტაპზე ასეთი 3, 4, 6-იც შეიძლება იყოს) დაგროვებული ქულების მიხედვით ხდება. ცხადია, რაც უფრო მაღალი და ძნელად ასასვლელია მთა, მით მეტი ქულა გაიცემა. უმაღლესი კატეგორიის მთის ფინიშზე — 40 ქულა, II ადგილს — 35, III ადგილს — 30 და ა.შ. I კატეგორიის მთაზე — 30, მეორე ადგილს — 25 და ა.შ. II კატეგორიის მთის ფინიშზე პირველ ამსვლელს 20 ქულა მიეთვლება, III კატეგორიაზე — 10 (7, 5, 3, 1), IV კატეგორიაზე — 5, 3, 1. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს მთა ეტაპის თავშია, შუაში თუ ბოლოში.

ბოლო წლების მანძილზე „ტურ დე ფრანსზე" ამ ტიტულს ოთხჯერ დაეუფლა რიშარ ვირანკი. ფრანგ ველომრბოლს არც წლეულს აქვს ურიგო შანსი, მეხუთედ გახდეს მთის მეფე, თუმცა... ესპანელი ხავიერ ოჩოა (153 ქულა), კოლუმბიელი სანტიაგო ბოტერო (151) და ბელგიელი ნიკო მატანი (138) საფიქრებელია, რომ არც ისე იოლად დათმობენ ოფლით მოპოვებულ პოზიციებს. რიშარ ვირანკს ჯერჯერობით 89 ქულა აქვს.

**ირაკლი ბერიაშვილი**



# სამი ერი მეხუთედ

დღეს სამი ერის პირველობა იწყება. იგი მეხუთედ გაიმართება და მსოფლიოს თასის შემდეგ უპირველესია ეროვნებებს შორის ჩატარებულ ტურნირებში. წარსულში ახალი ზელანდია სამჯერ გამხდარა ჩემპიონი, სამხრეთ აფრიკა-ერთხელ. მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელ ავსტრალიას კი პირველობა არ ღირსებია და, ალბათ, ახლა ეცდება ამის გამოსწორებას.

ავსტრალიელები პირველ მატჩში ახალზელანდიელებს მასპინძლობენ და თუ სძლიეს, საბოლოო გამარჯვებისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენ, რადგან ორივე გუნდი სამხრეთ აფრიკაზე ძლიერი ჩანს. „ვოლაბებს" როდ მაკკუინის თავკაცობით ათმატჩიანი მოგებების სერიის გაგრძელება ეიმედებათ. უკანასკნელად მათ 1999 წლის 14 აგვისტოს წააგეს შარშანდელ სამ ერზე კეიპტაუნში „ქურციკებთან".

ავსტრალიამ ბოლო ტესტი ერთი კვირის წინ გამართა და მანდელას სინზე სამხრეთ აფრიკას მოუგო (44:23). იმ მატჩში საუკეთესო უდავოდ სტერლინგ მორტლოკი იყო, ვინც თავისიანებს 29 ქულით შეეწია. ტურნირის დასაწყისში მაკკუინს ტიმ ჰორანისა და მეტიუ ბერკის იმედი არ ექნება. ეს ჩინებული უკანახაზელები დაშავებულნი არიან. სამაგიეროდ, ბრწყინვალე ფორმაშია კრის ლეითემი, რომელიც ზე 12-ის საუკეთესო ავსტრალიელ მორაგბედ აღიარეს. „ვოლაბები" „ბილისთვის" მეგობარ გოგონას ეძებენო, ხუმრობენ ოზები. „ბილს" ისინი მსოფლიოს თასს ეძახიან და დიდი იმედიც აქვთ, რომ მათი ჯილები ამ თასს წყვილს წელსვე გამოუძებნიან.

ავსტრალიის მთავარ მეტოქედ სპეციალისტებს ახალი ზელანდია მიაჩნიათ. „ოლ ბლექსი" თავს არ დაზოგავს, რათა სამი ერი მეოთხედაც მოიგოს და მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ფრანგებთან დასანანი მარცხი დაავიწყოს გულშემატკივრებს. იმის შემდეგ კუნძულელთა ნაკრებში ბევრი ცვლილება მოხდა. ჯონ ჰარტის ადგილი მთავარი მწვრთნელის პოსტზე უეინ სმიტმა დაიკავა. მან კაპიტნად კრაისტჩერჩელი ტოდ ბლეკედერი დანიშნა, თუმცა ტეინ რენდელს გუნდში ადგილი მაინც შეუნარჩუნა. აღსანიშნავია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრებში ახლახან გამოჩენილმა რონ კრიბმა ძირითადში ადგილი უკვე დაიმკვიდრა და ჯოშ კრინფელდი სათადარიგოთა სკამზე დასვა.

წლეულს „შავებმა" უკვე სამი ტესტი გამართეს და სამჯერვე იოლად გაიმარჯვეს. ჯერ ტონგა გააცამტვერეს (103:0), მერე კი არც შოტლანდიელებს დააკლეს ხელი (69:20 და 48:14). ამ მატჩებში ერთობ ძლიერად გაისარჯა „ოლ ბლექსის" უკანა ხაზი, რომელიც ლამის მთლიანად ველინგტონურია. „ყველა მოთამაშემ თავისი ეგო გვერდზე უნდა გადადოს. ჩვენ მათ ავუხსენით, რისი გაკეთება გვსურს და როგორ. ყველა უნდა დაეთანხმოს ჩვენ არჩევანს" — თქვა უეინ სმიტმა, ხოლო თუ რა აუხსნა თავის შეგირდებს და რამდენად შეითვისეს მათ მწვრთნელის შეგონებანი დღესვე გამოჩნდება.

ტურნირში ყველაზე ბოლოს ჩაებმება და მისი მოგების ყველაზე ნაკლები შანსიც სამხრეთ აფრიკას აქვს. წლების განმავლობაში „ქურციკთა" სიძლიერე შერკინების რკინასავით ხაზი იყო. სამხრეთაფრიკელი მორკინლები თავიანთ გზაზე ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდნენ და თუ ნაკრებში ათნომრიანი მაისურაც ჩინებულ მორაგბეს ემოსა, აფრიკელთა ძლევა ყოველთვის უძნელესი საქმე გახლდათ. ახლა კი აფრიკელთა თავკაც ნიკ მალეტსა და მის თანაშემწე ალან სოლომონს თამაშის სტილის შეცვლა განუზრახავთ და უკვე რამდენი ხანია, ყურადღებას ძირითადად უკანახაზელთა ლაღად თამაშზე ამახვილებენ.

რა დრო დასჭირდება ნიკ მალეტს სასურველი შედეგის მიღწევამდე, ძნელი სათქმელია. ჯერჯერობით კი „ქურციკები" ძალიან სუსტად გამოიყურებიან. მათ უკვე ორი მატჩის წაგება მოასწრეს. ჯერ შინ, ინგლისთან დამარცხდნენ (22:27), მერე კი ავსტრალიაში. ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, ნახევარმცველთა უხეირობაა. ვერც ფან დერ ვესტჰოიზენისა და ფან სტრაატენის წყვილმა ინგლისთან და, ვერც სვანეპოლი-კოენის დუეტმა ავსტრალიასთან მოლოდინი ვერ გაამართლა. ასე რომ, სამხრეთ აფრიკა აუტსაიდერადაა მიჩნეული, თუმცა მთლად ჩამოსაწერი მაინც არ არის.

**გაიოზ თალაკვაძე**

## სამი ერის პირველობის განრიგი

15 ივლისი, სიდნეი. ავსტრალია — ახალი ზელანდია
22 ივლისი, კრაისტჩერჩი. ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა
29 ივლისი, სიდნეი. ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა
5 აგვისტო, ველინგტონი. ახალი ზელანდია — ავსტრალია
19 აგვისტო, იოჰანესბურგი. სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია
26 აგვისტო, პრეტორია. სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია

### 1996

ახალი ზელანდია 43:6 ავსტრალია
ავსტრალია 21:16 სამხრეთ აფრიკა
ახალი ზელანდია 15:11 სამხრეთ აფრიკა
ავსტრალია 25:32 ახალი ზელანდია
სამხრეთ აფრიკა 25:19 ავსტრალია
სამხრეთ აფრიკა 18:29 ახალი ზელანდია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 4-0 | 119:60 | 10 | 1 | 17 |
| სამხრეთ აფრიკა | 1-3 | 70:84 | 5 | 2 | 6 |
| ავსტრალია | 1-3 | 71:116 | 5 | 2 | 6 |

### 1997

სამხრეთ აფრიკა 32:35 ახალი ზელანდია
ავსტრალია 18:33 ახალი ზელანდია
ავსტრალია 32:20 სამხრეთ აფრიკა
ახალი ზელანდია 55:35 სამხრეთ აფრიკა
ახალი ზელანდია 36:24 ავსტრალია
სამხრეთ აფრიკა 61:22 ავსტრალია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 4-0 | 159:109 | 17 | 2 | 18 |
| სამხრეთ აფრიკა | 1-3 | 148:144 | 18 | 3 | 7 |
| ავსტრალია | 1-3 | 96:150 | 13 | 2 | 6 |

### 1998

ავსტრალია 24:16 ახალი ზელანდია
ავსტრალია 13:14 სამხრეთ აფრიკა
ახალი ზელანდია 3:13 სამხრეთ აფრიკა
ახალი ზელანდია 23:27 ავსტრალია
სამხრეთ აფრიკა 24:23 ახალი ზელანდია
სამხრეთ აფრიკა 29:15 ავსტრალია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 4-0 | 80:54 | 8 | 1 | 17 |
| ავსტრალია | 2-2 | 79:82 | 8 | 2 | 10 |
| ახალი ზელანდია | 0-4 | 65:88 | 6 | 2 | 2 |

### 1999

ახალი ზელანდია 28:0 სამხრეთ აფრიკა
ავსტრალია 32:6 სამხრეთ აფრიკა
ახალი ზელანდია 34:15 ავსტრალია
სამხრეთ აფრიკა 18:34 ახალი ზელანდია
სამხრეთ აფრიკა 10:9 ავსტრალია
ავსტრალია 28:7 ახალი ზელანდია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 3-1 | 103:61 | 7 | 0 | 12 |
| ავსტრალია | 2-2 | 84:57 | 7 | 2 | 10 |
| სამხრეთ აფრიკა | 1-3 | 34:103 | 3 | 0 | 4 |

*ცხრილების პირველ გრაფაში მოგება-წაგების შეფარდებაა, მეორეში — ბურთების, მესამეში — გატანილი ლელოები, მეოთხეში — პრემიალური ქულები ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის და შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის, მეხუთეში კი ქულათა ჯამი.*

გაგაცნობთ იმ მორაგბეებს, რომელთაგანაც მწვრთნელები ყოველი მატჩის წინ 22-ს ამოარჩევენ

### ავსტრალია

წინახაზელები: მარკ კონორსი (ბრისბენი), ფლეჩერ დაისონი (ბრისბენი), ჯონ ილზი (ბრისბენი, კაპ.), მაიკლ ფოლი (ბრისბენი), დევიდ გიფინი (კანბერა), რიჩარდ ჰარი (სიდნეი), ტროი ჯეკსი (კანბერა), ტოუტაი კეფუ (ბრისბენი), გლენ პანოჰო (ბრისბენი), ჯერემი პოლი (კანბერა), ჯიმ უილიამსი (კანბერა), დევიდ უილსონი (ბრისბენი), დევიდ ლაიონზი (სიდნეი);
უკანახაზელები: სემ კორდინგლი (ბრისბენი), ელტონ ფლეტლი (ბრისბენი), ჯორჯ გრეგანი (კანბერა), დანიელ ჰერბერტი (ბრისბენი), ტიმ ჰორანი (ბრისბენი), როდ კეიფერი (კანბერა), სტივენ ლარკემი (კანბერა), კრის ლეითემი (ბრისბენი), ჯეისონ ლითლი (სიდნეი), სტერლინგ მორტლოკი (კანბერა), ჯო როფი (კანბერა)

### ახალი ზელანდია

წინახაზელები: რონ კრიბი (კრაისტჩერჩი), ჯოშ კრონფელდი (დანიდინი), ნორმ მაქსუელი (კრაისტჩერჩი), ტოდ ბლეკედერი (კრაისტჩერჩი, კაპ.), ტეინ რენდელი (დანიდინი), გრეგ სამერვილი (კრაისტჩერჩი), ენტონ ოლივერი (დანიდინი), კარლ ჰოფტი (დდანიდინი), რუბენ თორნი (კრაისტჩერჩი), სკოტ რობერტსონი (კრაისტჩერჩი), კრეიგ დაუდი (ოკლენდი), მარკ ჰემეტი (კრაისტჩერჩი), ტროი ფლეველი (ოკლენდი), ფილო ტიატია (ველინგტონი);
უკანახაზელები: კრისტიან კალენი (ველინგტონი), ტანა უმაგა (ველინგტონი), ალამა იერემია (ველინგტონი), ჯონა ლომუ (ველინგტონი), პიტა ალატინი (დანიდინი), ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი), ჯასტინ მარშალი (კრაისტჩერჩი), მარკ რობინსონი (კრაისტჩერჩი), დაგ ჰაულეტი (ოკლენდი), ლეონ მაკდონალდი (კრაისტჩერჩი), ტონი ბრაუნი (დანიდინი), ბაირონ კელეჰერი (დანიდინი).

### სამხრეთ აფრიკა

წინახაზელები: სელბორნ ბუუმი (კეიპტაუნი), უორენ ბროსნიჰანი (დურბანი), იოჰან ერასმუსი (იოჰანესბურგი), რობ კემპსონი (კეიპტაუნი), კორნ კრაიჯი (კეიპტაუნი), ოლი ლე რუ (დურბანი), შარლ მარე (კეიპტაუნი), ვილი მეიერი (იოჰანესბურგი), კრეინო ოტო (პრეტორია), ჯონ სმიტი (დურბანი), ალბერტ ფან დენ ბერგი (დურბანი), ანდრე ფენტერი (იოჰანესბურგი), კობუს ვიზაჟი (კეიპტაუნი), ანდრე ფოსი (იოჰანესბურგი, კაპ.);
უკანახაზელები: დევეტ ბერი (კეიპტაუნი), ტინუს დელპორტი (იოჰანესბურგი), გრანტ ესტერჰეიზენი (იოჰანესბურგი), რობი ფლეკი (კეიპტაუნი), დეონ კაიზერი (დურბანი), ლუის კოენი (იოჰანესბურგი), პერსი მონტგომერი (კეიპტაუნი), იაპი მულდერი (იოჰანესბურგი), ბერიტონ პაულსი (კეიპტაუნი), ვერნერ სვანეპოლი (იოჰანესბურგი), პიტერ როსოუ (კეიპტაუნი), იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (პრეტორია), ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი), ჩესტერ უილიამსი (იოჰანესბურგი).



მალხაზ ურჯუკაშვილი (მარცხნივ), გია ლაბაძე (წინ) და გუჯა იოვაძე შეიარაღდნენ

# საქართველოში ლხენაა

## მხოლოდ შენ ერთს! უმღერეს შვიდკაცას

მშვენიერი ატმოსფერო და სასიამოვნო ვითარება სუფევდა სასტუმრო „საქართველოს" რესტორანში. ფირმა „ვერიტამ" და საქართველოს რაგბის კავშირმა ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრების წევრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. შეგახსენებთ, ჩვენებურებმა 10-11 ივნისს, გერმანულ ჰაიდელბერგში, 2001 წელს არგენტინაში გასამართი მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვეს. ვის არ ნახავდით სასტუმროს ფოიეში — ქართული რაგბის გუშინდელ და დღევანდელი ვარსკვლავებს, ღვაწლმოსილ მწვრთნელებს, საესტრადო ანსამბლის — „მხოლოდ შენ ერთს" — წევრებს, რომელთაც პოპულარული ქართული სიმღერებით კიდევ უფრო გაალამაზეს ეს მშვენიერი საღამო. რესტორანში დამონტაჟებულ ვეებერთელა ტელეეკრანზე ჩვენი ნაკრების გამარჯვების ამსახველი კადრების ხილვის საშუალებაც მოგვეცა.

„...ვასიკო აბაშიძემ ბურთი პალიკო ჯიმშელაძეს გადააწოდა, ჯიმშელაძემ იგი ირლანდიელთა სალელოე მოედანთან ჩაკიდა, იქ კი ყველას ხეხელაშვილმა დაასწრო და მსოფლიოს თასის საგზურის მომტანი ლელო გაიტანა" — ასეთი კომენტარი გაუკეთა რაგბის კავშირის პრესმდივანმა გია კუბლაშვილმა ირლანდია — საქართველოს ნახევარფინალური მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდს, ამას მქუხარე ტაში მოჰყვა და პირველმა სადღეგრძელომაც არ დააყოვნა. ცხადია, ყურადღების ცენტრში საქართველოს ნაკრების წევრები მოექცნენ. „დიდი რაგბის დიდ მორაგბეებს გაუმარჯოს!" — ამ სიტყვებით დალოცა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, ბიძინა გეგიძემ ჩვენი მორაგბეები და სასმისიც ბოლომდე დაცალა. მერე ნაკრების უკლებლივ ყველა წევრი სცენაზე იხმეს, სადაც ვეტერანებმა ისინი სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს. სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ქართველ სპორტსმენებს ცეკვაც ჩინებული სცოდნიათ...



შვიდკაცას მწვრთნელთაგანი მალხაზ ჭეიშვილი

საღამო მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და სასიხარულოა, რომ ჩვენი ბიჭების გარჯა ასე დააფასეს. სასიამოვნოა, როდესაც სპორტსმენი გრძნობს თანადგომას. თქვენ კიდეც მორაგბეებმა, ბევრს არაფერს ვითხოვთ, ელემენტარული ყურადღება და პატივისცემა გვჭირდებაო. თავად კი არგენტინიდან მედლების ჩამოტანას დაგვპირდნენ.

**ბაჩო სვანიძე**



მიშა ახალაძის ფოტოები

ქართული რაგბის ამაგდარმა გივი მრელაშვილმა გია ლაბაძე დაასაჩუქრა



REUTERS კოლონიიდან

# გერმანული ხარისხი

ასე სანაქებოდ ჩაიცვამენ გერმანელი სპორტსმენები სიდნეის ოლიმპიადაზე. ფოტოზე მხოლოდ პერანგის ამხანაგებია ნაჩვენები, მაგრამ ვენდოთ გერმანულ ხარისხს და დავიჯეროთ, რომ დანარჩენი რამეებიც არანაკლებ მიმზიდველი იქნება.

# შავი ჯენტლმენი

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს უზენაესი მონარქის, მისი უდიდებულესობა ელისაბედ II-ის წყალობა დაიმსახურა იან რაიტმა. ცხადია, არა სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობის გამო. რაიტმა ჯილდო მეტოქეთა კარში გატანილი გოლებისთვის ირგუნა.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS ბოგოტადან

# მარტინა და ღარიბები

სახელოვანი ადამიანები ნაირნაირ საქველმოქმედო პროგრამებში მონაწილეობით თავს იწონებენ, ამიტომ მარტინა ჰინგისმა გაეროსთან თანამშრომლობა დაიწყო. არის ერთი პროგრამა, მსოფლიოში სიღატაკის დათრგუნვას რომ გულისხმობს და, მისი ევიდით მსოფლიოში ყველაზე მარჯვე მეჩოგნე გოგო ბოგოტაში ჩავიდა იქაურ ღატაკთა კვარტლების მოსახილველად. მარტინა ჰინგისი ჩამოვიდაო? ჩაბღუჯეს იგი ყოველი მხრიდან კოლუმბიელმა ბავშვებმა და მგონი, სახლში აღარ უშვებენ.

# პრინცბურთი

ახლახან „ასტონ ვილას" ერთ-ერთი გულშემატკივარი 18 წლისა შეიქნა. ერთ-ერთი, მაგრამ არა რიგითი, რადგან აწ უკვე სრულწლოვანი, ადრე თუ გვიან, იგი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის სამეფოს მეფე იქნება.

ჯერჯერობით კი პრინც ჩარლზისა და დაიანას უფროსი ვაჟი უილიამი სპორტუ[...]ანვება: როგორც ამბობენ, კარგად თამაშობს ფეხბურთს და წყალბურთს, რაგბის და ცხენბურთს კი საშუალოდ.



REUTERS შპილბერგიდან

# განუყრელნი

მიკა და ერია ჰაკინენებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეთვისებული საეკლესიო ცნება: ღმერთმა შეგაერთათ, კაცნი ნუ განაშორებენო. ყველგან და ყოველთვის ისინი ერთად არიან, ცხადია, რბოლის დროს „ფორმულა 1"-ის ბოლიდს თუ არ ჩავთვლით.

თანაც ერია ბავშვს ელოდება.



# მეზობლები

ბოლივიის დედაქალაქ ლა პასში გაგება და სიყვარული სუფევს, კარის მეზობელი ჩილელები იქ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ ჩავიდნენ და, სტადიონზე თუა მოსალოდნელი მტრობა, თორემ სხვა მხრივ... აგერ ივან სამორანო და კოლუმბიელი ბიჭი ტოლსწორებივით ქუჩაში სეირნობენ.



REUTERS ლა პასიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

...ავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge